გაზეთი ბევრის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

№97 (853) 23 - 24 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

## რას ნიშნავს კოჰაბიტაციის დასრულება და ვინ აღადგენს სამართალს — ხალხი თუ სახელმწიფო



გვ. 4

27 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში განუკითხაობა დაიწყება?!

## რატომ ენდობა მოსახლეობა ჯარს და არ ენდობა მთავარსარდალს?!

ბოლო ადგილზე პრეზიდენტი კი არა, უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილია გვ. 5

## ბურჯანაძის „ოცნებური“ სპეკულაცია გვ. 3

## „დიმა ვარ, ჯაიანი და უნდა ხარობდნენ, რომ ამ პოსტზე მოვედი!“

როგორ დაინიშნა აფხაზეთის კულტურის მინისტრად, რა სთხოვა არჩილ კბილაშვილმა და ემზადება თუ არა დიმა ჯაიანი რევანშისთვის გვ. 8

## საკეისრო კვეთით კლინიკები მშობიარეებს ფულს სძალავენ?! გვ. 11

## ირმა ინაშვილი ეკა კვესიტაძესა და დავით პაიჭაძეს „ობიექტივში“ გადაცემებს სთავაზობს!



გვ. 7

დიტო გელოვანი

**მკვდარი კატა უნდა წაიღო სასაფლაოზე შუაღამისას, ისეთ ადგილას, სადაც ბოროტი კაცი ასაფლავია. და აი, შუაღამისას მოვა ეშმაკი, შეიძლება, ორი ან სამიც; მაგრამ მათ ვერ დაინახავ, მხოლოდ გაიგონებ, თითქოს, ქარი ზუზუნებსო. შეიძლება, გაიგო კიდევაც, ერთმანეთს როგორ ელაპარაკებიან. როცა ისინი მკვდარს წაათრევენ, უნდა ესროლო მკვდარი კატა და თან თქვა: „ჯოჯო მისდევს მკვდარს, კატა მისდევს ჯოჯოს, მეჭეჭი კი კატას — დიდი სიამით ვატანთ, აგისრულდეთ ნატვრა“. მორჩა და გათავდა, მთელი მეჭეჭები გაქრება.**

*(მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“)*

# ვარდისახარების ევოლუცია



ეს ყველაფერი კარგი — მეჭეჭების მოშორების უებარი საშუალება ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ჯოჯო და მკვდარი კატა იმან მოიკითხოს, ვისაც მეჭეჭები აწუხებს, ყველამ ერთად კი იმაზე ვიფიქროთ, როგორ მოვიშოროთ ქაჯები, რომლებიც, დრო გადის და, კი არ მიდიან, მოდიან, უფრო სწორად — ერთნი მიდიან, მათ ადგილს კი სხვა ქაჯები იკავებენ. ერთი ვარიანტია, რომ ქაჯების ხსენება ავკრძალოთ, ამ ფონზე კი, ხშირ-ხშირად გავიხსენოთ არაქაჯები. ალბათ, ქაჯების გაქრობის სხვა საშუალებებიც არსებობს, მაგრამ თბილისის საკრებულომ სწორედ ეს ხერხი აირჩია.

საკრებულოს წევრების თანხმობის შედეგად, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღმის უსახელო ქუჩებს, მასთან არსებულ ჩიხებს და შესახვევებს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების შემდეგი სახელები მიენიჭა. პირობითად, 48-ე ქუჩას — ნურადინ ფრიდონის ქუჩა, 52-ეს – მელიქ-სურხავის ქუჩა, 53-ეს – მულღაზანზარის ქუჩა, 54-ეს — გულანშაროს ქუჩა, 55-ეს – ფატმანის ქუჩა, 56-ეს – როსტევანის ქუჩა, 58-ეს – უსენის ქუჩა, 59-ეს – ასმათის ქუჩა, 60-ეს — თინათინის ქუჩა, 68-ეს — დავარის ქუჩა, 73-ეს – შერმადინის ქუჩა, 74-ეს – ნესტან-დარეჯანის ქუჩა, 78-ეს – ავთანდილის ქუჩა, 79-ეს – ტარიელის ქუჩა, 87-ეს – ხატაეთის ქუჩა, 94-ეს – „ვეფხისტყაოსნის“ ქუჩა, 95-ეს – ჭაშნაგირის ქუჩა, 98-ეს – ფარსადანის ქუჩა, ხოლო 106-ეს – რამაზის ქუჩა ეწოდა.

როგორც ხედავთ, ქაჯეთის ხსენებაც კი არ არის.

გასათვალისწინებელია, რომ თბილისი იზრდება, შესაბამისად — მატულობს ქუჩების რაოდენობაც და, სავარაუდოდ, რუსთაველის უკვდავი პოემის სხვა პერსონაჟებსა და გეოგრაფიულ დასახელებებსაც ეღირსება საკუთარი ქუჩები.

საკრებულოს გადაწყვეტილებამ ხმამაღალი სიცილ-კისკისი გამოიწვია სოციალურ ქსელებში, იყო მორიდებული ხითხითიც. მაგალითად, ვასიკო მაღლაფერიძემ წინადადება შემოიტანა, ტარიელის მიერ დახოცილი მონებიც უკვდავვყოთ და რომელიმე ქუჩას მათი სახელი მივანიჭოთო. მართლაც, ცუდი არ იქნება, მაგალითად, ვინმე რომ გკითხავს — სად ცხოვრობო და შენ რომ უპასუხებ — მკვდარი მონების ქუჩაზეო. ავთანდილისა და თინათინის, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის გადაკვეთაც მაგარი იქნებოდა. იქნებოდა ამაში რაღაც რომანტიკული და ეროტიული...

თუმცა, რატომ მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“? მოვა 17 მაისი და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები (მაგ. ქ-ნი ჩერგოლეიშვილი) და მათი უფლებების დამცველნი (მაგ. ქ-ნი ხატისკაცი) აქციას გამართავენ, რომლის მთავარი მოთხოვნაც თბილისის ქუჩებისთვის ხარჩოს, დარჩოს, დარდაკას, ალისკერასა და რუდოლფ ვალენტინოვიჩის სახელების მინიჭება იქნება.

ალბათ, ხვდებით, სად იქნება „იდენტობის“ ოფისი... რა თქმა უნდა, ალისკერასა და რუდოლფ ვალენტინოვიჩის გადაკვეთაზე.

საერთოდ, ამ სოციალურ ქსელებში, მართლაც, საინტერესო რამე-რუმეებს ამოიკითხავს კაცი. ხანდახან, რაციონალური იდეების ისეთი კორიანტელია, გაგიკვირდება. იყო ასეთიც: „ხომ იცით, როგორ მიყვარს „სამოსელი პირველი“? საკრებულოს ლიტერატურის სიყვარულის ბუშტი რომ გაუსკდა და „ვეფხისტყაოსანზე“ რომ დაიციკლა, ვთავაზობ, გამოყოს შტატები და ყოველ უბანს ჰყავდეს თავისი საკუთარი ლეპოლდინო ან კაეტანო, რომლებიც იყვირებენ: „ღამის პირველი საათია და ყველაფერი რიგზეა“ ან „ღამის პირველი საათია და ყველაფერი გენიალურადაა“. ჰოდა, მე თავს გადმოვყოფ ხოლმე ფანჯრიდან და დავუძახებ: „მტყუანის...“ მაგრამ რა დააშავეს გინდა ლეპოლდინომ და გინდა კაეტანომ? დღეგრძელი იყოს დიდი მარშალი!!! რა დააშავეს და — „ფულის გულისთვის ყველაფერი არ უნდა იკადრო“.

ფულის გულისთვის და... გართობის გულისთვისაც. მთელი გასული კვირის განმავლობაში ხან სად დარეკავდნენ, ბომბიაო და ხან სად. მაკვარანცხებს ეგრევე იჭერდნენ, მაგრამ რად გინდა? ძირითადად, სკოლის მოსწავლეები იყვნენ, მხოლოდ ერთი იყო ზრდასრული, თუმცა მაგასაც მხოლოდ პირობითად თუ ეთქმის ზრდასრული, ისე კი დაუსრულებელი ანუ „ნედაძელანი“ უფრო შეეფერება.

„...ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორი ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს და ის 1951 წელს დაბადებული, ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონში მცხოვრები ლეონიდე ჭ. აღმოჩნდა“.

არა, ძმაო... თუ 62 წლის ხარ და ასეთი რამეებით ერთობი, სახელად აუცილებლად ლეონიდე უნდა გერქვას და გვარად ჭ. უნდა იყო.

თუ 27 ოქტომბრის შემდეგაც გაგრძელდება კოჰაბიტაცია, ვინძლო, ყოველი მათგანი, ანუ ყველა ჭ, პარლამენტში ვიხილოთ — ცრუ განგაშის ატეხვას ცრუ დაპირებების ჩამორიგებით გამოისყიდიან. განგაში იმისაა, ხალხს რომ ეშინია — შეაშინეს ბანკები, ტელევიზიები, სასწავლებლები... პარლამენტშიც დარეკეს რამდენჯერმე, მაგრამ იქ განგაში არ ამტყდარა. იმიტომ კი არა, რომ „უშიში ვითარცა უხორცო“ და რამე... სრულიადაც არა. როგორ აგიხსნათ... აი, სკოლაში გაკვეთილი რომ გაგვიცდებოდა, ხომ ყველას გვიხაროდა? დეპუტატებს რამდენიმე გაკვეთილი გაუცდათ და როცა მერხებს ანუ პულტებს დაუბრუნდნენ, მაშინაც ძროხების საწინააღმდეგო კანონი მიიღეს. ახლა, თუ ევროპამ ძროხებთან კოჰაბიტაცია მოითხოვა (როგორც ღორების შემთხვევაში გააკეთეს), კანონი აუცილებლად გაუქმდება, თუმცა ისიცაა, რომ კოჰაბიტაცია პრეზერვატივებთანაც მიმდინარეობს, თუმცა პრეზერვატივების კანონი ჯერ არავის გაუუქმებია. ისე კი, „პრეზოებთან“ კოაბიტაცია ბევრს არ მოსწონს და ამაზე ნიუსის სათაურიც მიუთითებს — „ახალციხეში პრეზიდენტსა და ადგილობრივებს შორის შელაპარაკება მოხდა“. არ მოსწონთ და შელაპარაკებაც იმიტომ მოხდა. აი, როცა სულ გადაირევიან, სათაური იქნება ასეთი — „ადგილობრივებმა პრეზიდენტი ფეხქვეშ გაიგდეს“. ოღონდ, ამისთვის სულ თვენახევარია დარჩენილი, ამის შემდეგ ადგილობრივებს ყოფილი პრეზიდენტის ფეხქვეშ გაგდების საშუალება მიეცემათ, თანაც — არაერთხელ. დავდგეთ შემდეგ და ვითვალოთ... დასათვლელი ჯერ კიდევ ბევრია. ის კი არა, გასულ კვირაში თვით სააკაშვილი იჯდა და ითვლიდა. „პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, დღეს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა მესამედ გახსნა იმ ჰესის მშენებლობა, რომელიც მისმა მთავრობამ უკვე ორჯერ გახსნა. ამით მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრის მიერ შუახევში, ახალი ჰესის მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრას გამოეხმაურა. „დღეს პრემიერმა მესამეჯერ გახსნა ჩვენს მიერ ორჯერ გახსნილი, 3 წლის წინ დაწყებული ჰესის მშენებლობა“, — აღნიშნა სააკაშვილმა“.

ეჰ... პირველი ოქტომბერი რომ არა, თავის მიერ ორჯერ გახსნილ მშენებლობას თვითონვე გახსნიდა მესამედაც, მეოთხედაც და მეხუთედაც. მეხუთე იქნებოდა საბოლოო, რადგან ამ ქვეყანაში აღარავის ახსოვდა „მესამე და სამართალი“, სამართალი იყო მხოლოდ მეხუთე და შიგადაშიგ — მეათეც. თუ არ ვცდები, სწორედ მეათე ნომრით თამაშობდნენ წელს ზევით ქრისტიანები (სიტყვით) და წელს ქვევით დემოკრატები (საქმით).

ახლა არ ვიცი, რა ნომრით თამაშობს მათი ლიდერი, მაგრამ მაგის თამაში სულაც არ არის მაგის თამაში. მაგი რომ თამაშობს, ხალხი სააკაშვილს ეუბნება ხოლმე, ერთ ადგილს ნუ ათამაშებო. ჯერ, „ერთ ადგილს“ რომ უწოდებენ რავარია და მერე — სააკაშვილის ერთი ადგილიო!

მაგ წოდებაზე ბევრს აქვს პრეტენზია, კონკურენცია არის სასტიკი და ყველაფერს მას შემდეგ დაერქმევა თავისი სახელი, რაც კოაბიტაცია დასრულდება... ოცნებას (ნაცებისგან განსხვავებით) კაცი არ მოუკლავს და, იქნებ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც ვიხილოთ, მაგრამ ჯერ ის გავისტუმროთ იქ. პრინციპში, ის უკვე იქ არის და სანამ ბოლომდე დაიმალება, თავისას არ იშლის, ჩხავის, როგორც შეუძლია. მაგალითად ასე: „ხელისუფლება აპირებს ქუთაისის, როგორც ქალაქის დაკვლას“.

მაიცა და, სანამ პარლამენტი იქ გადავიდოდა, ქუთაისი ქალაქი არ იყო? და რომ ადგნენ და პარლამენტი სადმე სხვაგან, მაგალითად, თოხლიაურში ან ვერტყვიჭალაში რომ გადაიტანონ, თოხლიაური ქალაქი გახდება და ვერტყვიჭალა — მეგაპოლისი?

წეღან წავიოცნებე, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ვინატრე, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემს ამ ოცნებას ასრულება არ უწერია. ყველაფერი გათვლილი და გაწერილია დროში. ამ დასკვნამდე კი, ამ ნიუსმა მიმიყვანა: „შვედეთი საქართველოს მყარი ნარჩენების მართვაში დაეხმარება... „შვედეთი მზად არის, ქართულ მხარესთან სამწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმოს. ჩვენ განვახორციელებთ საპილოტე პროექტს, რომლის მიზანიც არსებული ნაგავსაყრელების დახურვა იქნება. გარდა ამისა, ვფიქრობთ, შევძლებთ, ქმედითი დახმარება გაგიწიოთ კადრების გადამზადების თვალსაზრისით. ასევე, შევქმნათ ნარჩენების მართვის რამდენიმე თანამედროვე მოდელი, რომელთაგან თქვენ სასურველ ვარიანტს შეარჩევთ“, — განაცხადა ოლეგ იზიუმენკომ“.

მოკლედ, არსებული ნაგავსაყრელი მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაიხურება, როგორც ამას კონსტიტუცია ითვალისწინებს.

არჩევნებს დავუბრუნდეთ და ერთი, უაღრესად სასაცილო ნიუსი უნდა წაგაკითხოთ. მაგრად ვიცინე. „საპრეზიდენტო არჩევნებს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეიდან 50-ზე მეტი დეპუტატი დააკვირდება. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია საქართველოში არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვა... როგორც კრივოკაპიჩმა შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოში არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვა დელეგაცია, რომელიც 50-ზე მეტი დეპუტატისგან შედგება. მისივე თქმით, მათ შორის იქნებიან ცნობილი დეპუტატები, რომლებსაც საქართველოში არჩევნების დაკვირვების გამოცდილება აქვთ“, — ამ ნიუსზე ვიცინე, განსაკუთრებით კი, იმ ნაწილზე, სადაც ცნობილ დეპუტატებზეა საუბარი — საქართველოში არჩევნების დაკვირვების გამოცდილება აქვთო.

მაგ გამოცდილების გამო, წესით, მაგათ ქვეყანაში არ უნდა ვუშვებდეთ და ისიც საინტერესოა, რით არიან ცნობილნი? „სამოსელ პირველში“ არის, ელამი ტიპი რიგობერტოს რომ შესჩივლებს — დედით ცნობილმა კაცი მოგვიკლაო.

ვისაც საქართველოს არჩევნებზე დაკვირვების გამოცდილება აქვს, ყველანი დედით ცნობილები არიან.

წითელ ხიდს ნეპალის დელეგაცია რომ ეწვია, ვფიქრობ, არავისთვის უნდა იყოს საინტერესო. აი, თუ საპასუხო ვიზიტით და ბიუჯეტის ხარჯზე ნეპალს გია თორთლაძე მოინახულებს, მაშინ კი ყველანი დავინტერესდებით და ერთხმად აღვნიშნავთ: „კოჰაბიტაციის ცნობილი დედაც“...

არცთუ მყარმა ნარჩენმა გასულ კვირაში შესამჩნევად იაქტიურა — გაღლეტილი ხერხემლის მშობლებს ეწვია და „ყველაზე ეროვნული მედიაპროექტის“ მიერ წლის მასწავლებლად დასახელებულ ქალბატონსა და მის მეუღლეს მეურნეობა შეუქო — ძალიან მაგარი მოვლილიაო. მოვლილი მეურნეობა თავისკენ მოიკითხოს, ყვარლის მამულში, რომელიც ნელ-ნელა მეღვინეობის ცენტრად ყალიბდება და რომელსაც ცნობილი მეღვინე ანდრო ბარნოვი ხელმძღვანელობს. ისე, ჩვენში დარჩეს და, სად კვერცხი და სად ღვინო?!

„შესაძლოა“ არა, ბატონებო, უნდა გააძლიეროთ! და მხოლოდ პატრულირება კი არ უნდა გააძლიეროთ, არამედ რეალურად უნდა დაიცვათ მოსახლეობა! თქვენი მოდუნებისა და მშიშარა მთავრობის გამოა, რომ რუსები ამდენს ბედავენ!“ — თქვა გასულ კვირაში ბარნოვმა, რომელმაც ელვისებური პოლიტიკური კარიერა გაიკეთა და იმდენი მოახერხა, რომ კვერცხუჯრედი იყო და სულ რაღაც ორ წელიწადში კვერცხად იქცა.

მშიშარაო... რაღაცის თქმას ვაპირებდი, მაგრამ კოაბიტაცია გამახსენდა. გამახსენდა, რომ ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს და ვინც ამისთვის იღვწის, ალბათ, გულს მოეფონებოდა სააკაშვილის ეს სიტყვები: „ჩემი პრეზიდენტობის ვადა სრულდება, მაგრამ ამით პოლიტიკურ საქმიანობას არ ვწყვეტ“...

და ამის შემდეგ გამოდის ეკა ბესელია და ამბობს: „მესმის, რომ ძალაუფლების დასრულებას მტკივნეულად აღიქვამს“.

ჯერ ერთი, კარგად მივიხედ-მოვიხედოთ და ვაღიაროთ, რომ კვლავ გრძელდება ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არ არის მთავარი. არ მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ, რატომ უნდა აღიქვამდეს ვინმე ძალაუფლების დასრულებას მტკივნეულად?

არადა, გაგება ხომ მთავარია, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, გაგება არის გაუგებარი და როცა გაგება გაუგებარია, ძაღლის თავი სადღაც უნდა იყოს დამარხული.

გასულმა კვირამ ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა და ცოტა მეტი ყურადღება რომ გამომეჩინა, მეტი საფიქრალი მექნებოდა, მაგრამ ჩემთვის გასული კვირა ძალიან დატვირთული იყო. მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, შაბათის ამბავს გეტყვით: შევიკრიბეთ და ერთად აღვნიშნეთ ღვთისმშობლობა, 50 წელი გოჩა თერგიაშვილის და ორი საათი ლევან ნინიძის დაბადებიდან.

მოკლედ, წავედი და თხოვნას დაგიტოვებთ — იქნებ ვინმემ სთხოვოს იმ შვედებს და როგორმე დააჩქარონ ამ ნარჩენების გატანა, თორემ მაგათი ბუტბუტით და მაგათ მიერ კონსტიტუციის უკუღმა კითხვით უკვე ძალიან დავიღალე.

**ე.რ. (ეგრეა, რა) „რა საშინელებაა! მამაშენმა როგორ გაიგო, რომ კუდიანი ჯადოს უკეთებდა?“ „ამას უყურე! მამა ამბობს, ამის გამოცნობას დიდი ამბავი არ უნდაო: თუ ვინმე დაჟინებით გიცქერის და თან რაღაცას ბუტბუტებს, იცოდე „მამაო ჩვენოს“ უკუღმა კითხულობსო“.**

*(მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“)*

# ბურჯანაძის „ოცნებური“ სპეკულაცია



ნიკა ჯანხოთელი

**ცესკო-სასამართლოსგან დაწუნებული პრეზიდენტობის კანდიდატი, პარტია „საქართველოს გზის“ დამფუძნებელი სალომე ზურაბიშვილი დარწმუნებულია, რომ „ოცნება“ და დემოკრატიული მოძრაობა ანუ ნინო ბურჯანაძე ერთი და იგივე ძალაა. ეს შეფასება ვინმეს, შესაძლოა, უტოპიად მოეჩვენოს, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ზურაბიშვილის ნათქვამს, პირდაპირ თუ ირიბად, თავად ბურჯანაძეც ამყარებს. ყოველ შემთხვევაში, ერთ დროს, მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლი ბურჯანაძე, რომელსაც „ვადაგასულმა მიშამ“, სხვათა შორის, აგარაკი ერთ ლარად აჩუქა, აცხადებს, 2012 წლის პირველ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა იმიტომ არ მივიღე, რომ არ მინდოდა, „ოცნებისთვის“ ხმები წამერთმია, სამაგიეროდ, ჩემი ხალხი კოალიციის სასარგებლოდ მუშაობდაო.**

ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ეს ის შემთხვევაა, როცა „ანზოროვნა“ არ ცრუობს, თუმცა, როგორც იტყვიან, ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

2011 წლის ოქტომბერში, პოლიტიკურ არენაზე გამოჩენილმა ბიძინა ივანიშვილმა ორი ძალა — რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანია დაასახელა, რომელთანაც ითანამშრომლებდა. შემდეგ, მილიარდერთან სხვა წვრილ-მსხვილი პარტიებიც მივიდნენ და კოალიცია „ქართული ოცნებაც“ შეიქმნა.

თავდაპირველად, ითქვა, რომ კოალიციაში, შესაძლოა, ბურჯანაძეც გაერთიანებულიყო, მაგრამ კულუარებიდან გამოჟონილი ხმით, ირაკლი ალასანიამ ივანიშვილს, პრაქტიკულად, ულტიმატუმი წაუყენა — ან მე ან ბურჯანაძეო.

ივანიშვილმა საჯარო არჩევანი ალასანიას სასარგებლოდ გააკეთა, თუმცა ხელი არც ბურჯანაძისთვის უკრავს — მოარული ხმით, ბურჯანაძის სახელით ივანიშვილთან მოლაპარაკებებს სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი მართავდა. საერთოდ, ამბობენ, რომ პრემიერი ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ქალბატონს დიდ პატივს სცემს და მის სიტყვასაც ანგარიშს უწევს.რასაკვირველია, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ „ოცნების“ ე.წ. სტაფში ნოდარ ხადურის გამოჩენა სწორედ გაფრინდაშვილის დამსახურებაა, მაგრამ ფაქტია: ფინანსთა დღევანდელმა მინისტრმა, ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა თუ არა, ბურჯანაძეს „ზურგი აქცია“ და „ოცნების“ სახე გახდა. არადა, მანამდე ბურჯანაძის პარტიის ანუ დემოკრატიული მოძრაობის რიგითი კი არა, მთავარი საბჭოს წევრი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტიის ლიდერის მოძღვრებას თავიდან ბოლომდე კვერს უკრავდა, შესაბამისად, არც ბურჯანაძის მოსკოვური ვიზიტები გაუპროტესტებია.

შეიძლება უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ბურჯანაძისგან „ოცნებაში“ გადაბარგებულმა ხადურმა „დემოკრატიული მოძრაობის“ პრესმდივანიც გაიყოლა — ფინანსთა მინისტრის პიარზე დღეს ის ადამიანი ზრუნავს, ვინც წლების განმავლობაში ბურჯანაძისა და მედიის ურთიერთობებს აგვარებდა. საერთოდ, ითვლება, რომ პრესმდივანი „პიარის ობიექტთან“ ყველაზე დაახლოებულია...

„ოცნებაში“ ბურჯანაძის კადრები მხოლოდ ნოდარ ხადურით არ ამოიწურება. ერთ-ერთი პირველები, ვინც ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადეს, ლუკა კურტანიძე და სოსო ჯაჭვლიანი იყვნენ, ოღონდ ამ ბატონებს სახალხო კრება არ დაუტოვებიათ. არადა, „კრება“, ქვეყანამ იცის, ბურჯანაძის „ფან-კლუბია“...

მოკლედ, „კრებელი“ ჯაჭვლიანი დღეს „ოცნების“ გლდანის მაჟორიტარია, „კრებელი“ კურტანიძე კი, პოლიციის აკადემიაში მოღვაწეობს.

რამდენიმე დღის წინ, აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პოსტი ვახტანგ ყოლბაიამ დაიკავა. ამაში, ერთი შეხედვით, უცნაური არაფერია, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“: ბატონი ყოლბაია დღემდე დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ბურჯანაძის კადრია.

მაშასადამე, რა გამოდის? — აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას მთლიანად ბურჯანაძე აკონტროლებს. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში „ანზოროვნამ“ ე.წ. დევნილთა რესურსი გამოიყენოს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ დევნილებს ბურჯანაძე მაინცდამაინც არ უყვართ — რამდენიმე წლის წინ, როცა მიშას თანამებრძოლი იყო, ბურჯანაძემ დევნილებს სულ მოღალატეები ეძახა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უწყება, რომელიც „ოცნებამ“ ნინო ბურჯანაძეს უფეშქაშა, საპარტნიორო ფონდია. ფონდს, რომლის ძირითადი შემოსავალი ქართველი ბიზნესმენების ნებაყოფლობითი შემოწირულობებია, პრემიერის აპარატი აკონტროლებს. ფონდის ხელმძღვანელი კი — არც მეტი, არც ნაკლები — ირაკლი კოვზანაძეა, რომელიც ყოველთვის ნინო ბურჯანაძის კადრად ითვლებოდა. სიმართლე რომ ითქვას, კოვზანაძე სახელგანთქმული პოლიტიკური, საზოგადო თუ ეკონომიკური მოღვაწე არასოდეს ყოფილა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა დამსახურებისთვის დანიშნეს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი ნათელია — კოვზანაძე ბურჯანაძის კადრია ანუ ლოგიკა იქით მიდის, რომ ივანიშვილსა და ბურჯანაძეს შორის თავიდანვე არსებობდა ფარული გარიგება, რომლის თანახმადაც, დემოკრატიული მოძრაობის კადრები „ოცნების“ ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებს დაიკავებდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისიც, ალბათ, სიმბოლურია, რომ „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი თავის დროზე ე.წ. ბურჯანაძის ფონდს ხელმძღვანელობდა...

## ვერსიანიუსი

### „მას ვინც საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შეარიგებს, ნობელის პრემია ეკუთვნის“



საქართველოს პოზიცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში სწორი მხოლოდ მოკლე დისტანციაზეა, — აცხადებს რუსი პოლიტოლოგი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში ანდრეი ეპიფანცევი.

**„სინამდვილეში, არ არსებობს გადაწყვეტის ნამდვილი მეთოდი. მერწმუნეთ, რომ ვიცოდე რამე ხერხი, რომელიც სიტუაციას ბედნიერ დასასრულამდე მიიყვანდა, ალბათ, ნობელის პრემიას მივიღებდი მშვიდობის დარგში. საქართველო ემოციურად ხაზს უსვამს თავის პოზიციას, რომ არასოდეს იტყვის უარს ტერიტორიებზე. სინამდვილეში, ეს მართალია, მხოლოდ მოკლე ვადით და უფრო ფართო დროის პერსპექტივაში ვხედავთ, რომ ასე არ არის“,** — აცხადებს რუსი ექსპერტი და დასძენს, რომ **„ოდესმე, დროის მსვლელობისდა გამო, იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია სტატუსკვოდ დაფიქსირდება, ახალმა მთავრობამ, ახალმა საზოგადოებამ, შესაძლოა, თანხმობა განაცხადოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე“.**

***„ჯი-ეიჩ-ენი“***



## თომას ჰამერბერგი: „ბოლოდროინდელი ისლამოფობიური და ჰომოფობიური აქტები უკიდურესად შემაშფოთებელია“

კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი თომას ჰამერბერგი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს. **„აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება. სპონტანური ღონისძიებები და კრიზისზე რეაგირება, მტკიცედ დამკვიდრებულმა და შეთანხმებულმა პროცედურებმა და უკეთესმა თუ ახალმა ინსტიტუტებმა უნდა ჩაანაცვლონ. ასევე მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება — ის უკვე არაერთი წელია, ქვეყანაში ფუნქციონირებს და ეს აპარატი ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ადამიანის უფლებების პოპულარიზებისა და დაცვის სფეროში. ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს მისი მხარდაჭერა“,** — განაცხადა თომას ჰამერბერგმა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ მომზადებული ანგარიშის პრეზენტაციაზე.

მისივე თქმით, აუცილებელია შემდგომი ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმები რელიგიის თავისუფლების დასაცავად. **„თავიდან უნდა იქნას აცილებული უმცირესობის საკითხის განხილვა მხოლოდ უსაფრთხოების კონტექსტში. ბოლოდროინდელი ისლამოფობიური და ჰომოფობიური აქტები უკიდურესად შემაშფოთებელია“.** ამასთან, იგი დადებითად აფასებს ხელისუფლებაში მიღებულ გადაწყვეტილებას, მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობის შემოღების შესახებ. **„ეს ბრწყინვალე გადაწყვეტილებაა, ეს აუცილებელია, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყება მთავრობამ შექმნა, ინსპექტორის აპარატმა სრულიად დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს და შეძლოს საკუთარი როლისა და სტრუქტურის შემდგომი დახვეწა“.** გარდა ამისა, ჰამერბერგის აზრით, უნდა გაგრძელდეს მართლმსაჯულების რეფორმა და მიღებული გამოცდილების გათვალისწინება — მათ შორის, ხელი უნდა შეეწყოს თითოეული მოსამართლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებას.

**„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსამართლეთა, ასევე პროკურორთა და ადვოკატთა კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა“.** მისივე აზრით, პოლიციისა და პროკურორების წინააღმდეგ საჩივრების განხილვას დასჭირდება მათზე რეაგირების პროფესიული, სანდო, დამოუკიდებელი მექანიზმის შემუშავება.

**„ის პოლიციასა და პროკურატურაში არსებული რეალობის, ცოდნის საფუძველზე უნდა შეიქმნას, მაგრამ ამ სტრუქტურებიდან დამოუკიდებელი უნდა იყოს და საზოგადოების მიუკერძოებელი წარმომადგენლის როლს უნდა ასრულებდეს, ომბუდსმენის მსგავსად. ამავე კონტექსტში შეიძლება იქნას განხილული დაკავებულთა, პატიმართა მიერ საპატიმროებში არსებული პირობების ან ბადრაგის თუ სხვა თანამშრომლის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვის პროცედურა“,** — განაცხადა ჰამერბერგმა.

***„ინტერპრესნიუსი“***

## „ფლაი ჯორჯიამ“ კიევის რეისი გადადო

კომპანია „ფლაი ჯორჯიამ“ პარასკევს, 20 სექტემბერს, კიევის მიმართულებით რეისი გადადო. როგორც „კომერსანტს“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო სამსახურში განუცხადეს, კიევის მიმართულებით ფრენა კომპანიას 17.05 საათისთვის უნდა შეესრულებინა, მაგრამ „ფლაი ჯორჯიამ“ ფრენა 21 სექტემბერს, 03.25 საათისთვის გადაიტანა. ამასთან, „კომერსანტს“ ერთ-ერთმა მგზავრმა აცნობა, რომ თავად „ფლაი ჯორჯიამ“ უზრუნველყო რამდენიმე მგზავრის „ვიზ ეარში“ გადამისამართება, რომლებიც უკრაინაში ქუთაისიდან გაემგზავრებიან. „ფლაი ჯორჯიას“ უკვე რამდენიმე დღეა ფრენა არ შეუსრულებია ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან. როგორც აეროპორტის საინფორმაციო სამსახურში აცხადებენ, კიევის მიმართულებით, 20 სექტემბერს, „ფლაი ჯორჯიას“ ფრენა ისედაც არ ჰქონია, თუმცა უკვე რამდენიმე დღეა, კომპანიას აღნიშნული აეროპორტიდან ფრენები არ განუხორციელებია. „კომერსანტმა“ ამ საკითხზე კომპანიის წარმომადგენლებთანაც სცადა დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე დღის წინ, ავიაკომპანია „ფლაი ჯორჯიას“ ბრიუსელში თვითმფრინავი დაუყადაღეს, რის გამოც მგზავრები სხვა ავიაკომპანიების რეისებზე გადანაწილდნენ. „ფლაი ჯორჯიაში“ ეჭვობდნენ, რომ მაშინ პრობლემები ხელოვნურად შეუქმნეს. დაახლოებით, ორი კვირის წინ, ავიაკომპანიის დაყადაღებული თვითმფრინავის შესახებ ინფორმაცია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ამ დრომდე არ მიუღია. სააგენტოს ხელმძღვანელის, გურამ ჯალაღონიას განცხადებით, პასუხი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ უნდა მიეღოთ. დამატებითი კომენტარის გაკეთებისაგან კი გურამ ჯალაღონიამ თავი შეიკავა.

***რადიო „კომერსანტი“***

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# 27 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში განუკითხაობა დაიწყება?!

**„კოჰაბიტაცია 27 ოქტომბერს სრულდება" — ირწმუნება „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც რიტორიკულია შეკითხვა — რას ნიშნავს კოჰაბიტაციის დასრულება და რა მოხდება 27 ოქტომბრის შემდეგ?!**



## რას ნიშნავს კოჰაბიტაციის დასრულება და ვინ აღადგენს სამართალს — ხალხი თუ სახელმწიფო

ორიოდ დღის წინ, პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და დაგვამშვიდა, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში „გადასული" ვითარების ანალიზს გვასწავლის და განგვავითარებს: **„დავეხმარები საზოგადოებას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, ანალიზის გაკეთებაში, გონივრულ და არა — ემოციურად მოქმედებაში. სიტუაციის სწორად შეფასების მექანიზმს გამოვიმუშავებთ. ხალხი გულდაწყვეტილია ჩემი გადაწყვეტილებით, მაგრამ, როგორც კი პოლიტიკაში მოვედი, პირველი რაც განვაცხადე, ის იყო, რომ პოლიტიკიდან ორ, მაქსიმუმ სამ წელიწადში წავიდოდი და საზოგადოების განვითარებით დავკავდებოდი. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ აქტიური მოქალაქე ვიქნები. საქართველოს ყველა პრეზიდენტი ერთმანეთზე უარესი იყო. ერთის მმართველობის დროს ქვეყანაში სამოქალაქო ომი იყო, მეორე რევოლუციის შედეგად შეცვალეს, მესამე კი ამ ორზე უარესია..."**

როგორც მოსალოდნელი იყო, არც პრემიერს უსაუბრია იმაზე, რა მოხდება კოჰაბიტაციის ანუ მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლებასთან იძულებითი თანაცხოვრება დასრულდება: დაიწყება თუ არა შურისძიების, ხეებზე ბობოლა ნაციონალების ჩამოკიდების პროცესი — ე.წ. ბეზპრედელი ან ვინ იქნება იმის გარანტი, რომ ხალხი „სამართლიანობის აღდგენას" თავად არ დაიწყებს?! ამ შეკითხვებით „ვერსიამ" იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს მიმართა, ვინც ნაცმოძრაობასთან მშვიდობიან რეჟიმში ცხოვრების გაგრძელების კატეგორიული წინააღმდეგია.

**შალვა რამიშვილი,** გიორგი მარგველაშვილის პიარკამპანიის ხელმძღვანელი: **„გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით, 27 ოქტომბერს ის ვითარება დასრულდება, რაც ხელს ქვეყნის განვითარებას უშლის. ერთი გუნდის წევრი პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა გაათმაგებულად შეძლებს წინსვლას, ვიდრე აქამდე, საბოტაჟის პირობებში. ხელი აღარც საგარეო ასპარეზზე შეგვეშლება, მართლმსაჯულებაც ნორმალურად იფუნქციონირებს. ჩვენმა საზოგადოებამ, შესაშური სამოქალაქო კულტურა გამოავლინა, ამიტომ შეუქცევადი პროცესები არც 27 ოქტომბრის მერე დაიწყება. ამის გარანტი, რა თქმა უნდა, არა მარტო გიორგი მარგველაშვილი, არამედ მთელი სახელმწიფო იქნება. ერთი წელი კრიზისულ რეჟიმში ვიცხოვრეთ. ეს კრიზისი დასრულდება.**

> **ადამიანები ვიღაცების ჩაქოლვასა და დახოცვაზე არ არიან ორიენტირებულნი, მაგრამ კანონით, ყველა დაისჯება, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირები. ჩემი აზრით, სამხილები სააკაშვილის წინააღმდეგაც იქნება და საქართველოში მოქმედი ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა კანონის შესაბამისად იმოქმედებს. ბუნებრივია, სწორედ 27 ოქტომბერს ველოდებით, რათა სამართლიანობის აღდგენა დაიწყოს!"**

გაუგებარია, რა კავშირშია ერთმანეთთან დამნაშავის დასჯა და კოაბიტაციის დასრულება?! ან რატომ იარეს დამნაშავეებმა ერთი „კრიზისული" წლის განმავლობაში თავისუფლად და რატომ ითანამშრომლა „ოცნების" ხელისუფლებამ „27 ოქტომბრის მერე დასაჭერ" ხალხთან... ანტიკოაბიტაციური კამპანიის კიდევ ერთი აქტიური წევრი, ლეიბორისტი **გიორგი გუგავა** საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სრულიად სხვა რეალობას ხედავს: **„ჩვენი მთავარი ამოცანა ეროვნული ძალების შეკავშირება, ერთიანი ფრონტის გაშლაა, მაგრამ მთავარი შემოქმედი მაინც მოსახლეობაა. ხალხმა აჩვენა, რომ კრიტიკულ ვითარებაში გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეუძლია. უმთავრესი ფაქტორი დღესაც ხალხია. შეიძლება, პოლიტიკოსების გარკვეულ ნაწილს სურს, ამღვრეულ წყალში ითევზაოს, მაგრამ არ მგონია, მოვლენები უკანონო გზით განვითარდეს. რეალურად, კოჰაბიტაციის დასრულება დღეს „ოცნებასაც" არ აწყობს — მას და ნაციონალებს ერთმანეთი სჭირდებათ. რა თქმა უნდა, ყველას პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, ვისაც დანაშაული მიუძღვის. ამისთვის კი ხელისუფლებაში ეროვნული ძალები უნდა მოვიდნენ და ხალხის სურვილით, არსებული რეჟიმის შეფასება დაიწყონ! ყველა დაისჯება, ყველას საკადრისად მიეზღვება — ზოგს ქონების დაბრუნება მოუწევს, ზოგს ვირის აბანოში ყოფნა და ციხისკენ მიმავალ გზას დაადგება. სხვაგვარად, გადარჩენა არ გვიწერია! აი, ესაა, რეალურად, კოჰაბიტაციის დასასრული, მანკიერი, მჩაგვრელი რეჟიმის დამარცხება და სამართლიანობის აღდგენა! თუ ხელისუფლებას, საკუთარი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, ეს არ სურს და სამართალთან მწყრალადაა, სამართალი ხალხმა უნდა აღადგინოს. ძალაუფლების მთავარი წყარო ხალხია!**

> **მაინცდამაინც, ქუჩის, კეტისა და პირადი ანგარიშსწორების გზას არ ვგულისხმობ, ხალხმა ეს საქმე ღირსეულ, სამართლიან პოლიტიკურ ძალასა და ლიდერს უნდა დაავალოს. ასეთი, მაგალითად, შალვა ნათელაშვილია და სწორედ მან უნდა დაიწყოს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა!"**

ტრადიციულად, სახიფათო განცხადებებს აკეთებს ყოფილი პოლიტპატიმარი და უფლებადამცველი, საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი წევრი **ნანა კაკაბაძე,** რომელიც დიდი ხანია, სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას მოითხოვს: **„27 ოქტომბერს კოაბიტაციის დასრულებას არ ველოდები, რადგან ეს მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებაა და არა — რეალობა. „ოცნება" ნაციონალებს ყველა დანაშაულს „უპრავებს" და ისე არიან როლში შეჭრილები, ამას კოაბიტაცია კი არა, ფლირტი ჰქვია. ხალხმა ყური უნდა აუწიოს ხელისუფლებას და უთხრას, იმიტომ კი არ ამირჩევიხარ, კრიმინალურ რეჟიმთან ითანამშრომლოო?! კოაბიტაციაზე უარის თქმა რეალური იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ პროკურატურაში, შს სამინისტროსა და სხვა უწყებებში ახალი საკადრო პოლიტიკა გატარდებოდა. ამიტომ საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა დაუფიქსიროს ხელისუფლებას, რა შედის მის ინტერესში.**

**დიდი სამოქალაქო მოძრაობა უნდა დაიწყოს! ყველაფერი ეს კი მასობრივ პროტესტად და დაუმორჩილებლობად უნდა იქცეს. ხალხმა უნდა უთხრას ხელისუფლებას, თუ იმის უზრუნველყოფა არ შეგიძლია, სამართალმა პური ჭამოს, მაშინ შენც მიყევი ნაცმოძრაობას, ჩვენ მივხედავთ თავსო! ომი და დაპირისპირება კი არა, პოზიციის დაფიქსირებაა საჭირო. ხალხი თუ შეიარაღდა, ეს მართლა სამოქალაქო ომის დაწყებას ნიშნავს, მაგრამ სად არის ამ დროს ხელისუფლება?! ხალხი თავად გაასწორებს ანგარიშს დამნაშავესთან — მთელ მსოფლიოში ასე ხდება! გაერთიანება და დიდი ძალისხმევაა საჭირო, მოვლენები ასე რომ არ განვითარდეს. თუ ხელისუფლება ჩაჯდება კანონის ჩარჩოში და წინა ხელისუფლების დამნაშავე მაღალჩინოსნებს პასუხს აგებინებს, სამოქალაქო ომსაც ავიცილებთ თავიდან და ყველანაირ დაპირისპირებასაც. თუ „ოცნება" გონს არ მოვა, ხალხი ანგარიშსწორებას თავად დაიწყებს!**

ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" კი მოვლენების განვითარების ლოგიკას თავისებურად აგვირგვინებს — ქვეყანას ქალი პრეზიდენტი და „ბურჯანაძის სამართალი" გადაარჩენს. თუ როგორია „ბურჯანაძის სამართალი", ამას „ვერსიას" პარტიის წევრი **გიორგი კობახიძე** უხსნის: **„განცხადებებს, 27-ში კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ, ერთადერთი საფუძველი აქვს — „ოცნება" აცნობიერებს, რომ ხალხის მთავარ მოთხოვნას ვერ ასრულებს და დროა, ასეთი განცხადებები მაინც გააკეთოს. თუ კოაბიტაცია კარგია, მაშინ რატომ უნდა დამთავრდეს? თუ ცუდია, მაშინ აქამდე რატომ არ დამთავრდა?! ამაზე პასუხი არ არსებობს, ამიტომ ხელისუფლების ყველა განცხადება ხალხის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა. ეს არ გამოუვათ — ხალხმა კარგად იცის, რომ კოაბიტაცია ახალი ხელისუფლების დანაშაულებრივი გარიგებაა ძველთან! ხალხი სამართლიანობას თავად იმ შემთხვევაში აღასრულებს, თუ სტატუსკვო შენარჩუნდება და ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც ახლაა... თუმცა ვითარების შეცვლა და ხელისუფლების დაბალანსება შესაძლებელია, თუკი ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტი გახდება. სწორედ ის იქნება სამართლიანობის გარანტი ქვეყანაში და ამ შემთხვევაში, აღარც კანონის აღსრულება შეფერხდება! ხალხი ერთადერთ შემთხვევაში აღარ იფიქრებს პირად შურისძიებაზე — თუ დაინახა, რომ სამართალი მოქმედებს. ბურჯანაძის სამართალი კი არის ის, რაც კონსტიტუციასა და კანონში წერია!"**

## ვერსიანიუსი

# აფხაზეთში რუსი დიპლომატის მკვლელობაში ეჭვმიტანილის თანამზრახველი დააკავეს



აფხაზეთში გალის რაიონის მკვიდრი დააკავეს, რომელიც სოხუმში რუსი დიპლომატის მკვლელობაში ბრალდებულ, ეროვნებით ჩეჩენ იუსუფ ლაკაევს საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვრის გადალახვაში დაეხმარა. „კავკაზსკი უზელის" ცნობით, ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო გენერალური პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების ე.წ. ხელმძღვანელმა ჯემალ გოგიამ განაცხადა.

**„იმ პირის ვინაობა, რომელიც ლაკაევს საქართველო-აფხაზეთის საზღვრის არალეგალურად გადალახვაში დაეხმარა, დადგენილია. ესაა გალის რაიონის მცხოვრები, რომელიც ჩვენებას აძლევს",** — აცხადებს გოგია.

შეგახსენებთ, რომ 13 სექტემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე, ქალაქ ბათუმში, ალ. პუშკინისა და გრიბოედოვის ქუჩების კვეთაში, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა შეაჩერა იმ დროისთვის დაუდგენელი პირი, რომელსაც ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვეს. აღნიშნულმა პირმა ხელჩანთიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და პოლიციელების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. თავდამსხმელმა მიმალვა სცადა, რა დროსაც რამდენიმე უმისამართო გასროლა მოახდინა, რის შედეგადაც დაიჭრნენ ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ი.დ და მოქალაქე ე.ხ; პოლიციამ გახსნა საპასუხო ცეცხლი თავდამსხმელის მისამართით, თავდამსხმელი დაიჭრა. ინციდენტში ეროვნებით ჩეჩენი იუსუფ ლაკაევი და მისი მეგობრები ფირუზ წულუკიძე და თემურ ბახუნტარიძე მონაწილეობდნენ.

სამართალდამცველებმა თავდამსხმელიც და მისი თანამხლები პირები ადგილზევე დააკავეს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მათ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, იუსუფ ლაკაევი 9 სექტემბერს, სოხუმში რუსი დიპლომატის, დიმიტრი ვიშერნევის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

*„მედიანიუსი"*

# რატომ ენდობა მოსახლეობა ჯარს და არ ენდობა მთავარსარდალს?!

## ბოლო ადგილზე პრეზიდენტი კი არა, უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილია



ლევან ღვინიაშვილი

**1 ოქტომბერს ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ქართული რეალობა შეიცვალა და ციდან მიწაზე უცხოელებთან ერთად დავეშვით. ერთად იმიტომ, რომ ევროპა-ამერიკას ასე ეგონათ, საქართველო მართლა დიდი ნაბიჯებით მიდის წინ და ვერც იმას ხვდებოდნენ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რატომ იყო მაშინდელ ხელისუფლებაზე შემომწყრალი. ჰოდა, როცა რეალობა ნახეს და თვალი აეხილათ, მიხვდნენ, საქმე რაშიც იყო და გაოცებისა თუ გაოგნებისგან მიწაზე რომ არ დანარცხებულიყვნენ, ვიღაც მადლიანმა (თუ უმადლომ) კოჰაბიტაციის სახით, რბილი ბალიში შეაშველა.**

ამ ბალიშმა ყოფილ ხელისუფლებაზე კარგად იმუშავა, მაგრამ მოსახლეობას დღემდე აღიზიანებს და ამიტომაც არის, ორხელისუფლებიანობისა და კოჰაბიტაციის დასასრულს „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ხმამაღლა რომ აანონსებს. მართალია, იგივე რამდენჯერმე სხვა კანდიდატებსაც წამოსცდათ, მაგრამ ფაქტია — სხვა კანდიდატის წარმატების შემთხვევაში, კოჰაბიტაცია უკვე სხვასთან გაგრძელდება და იმ სხვებს, კონკრეტულად კი ბურჯანაძეს, ნათელაშვილს, თარგამაძეს დაპირება ტყუილი გამოუდით. ბაქრაძეს კი დასაპირებელი არც არაფერი აქვს, კოჰაბიტაცია ისე აწყობს, როგორც ვანოსა და ბაჩანას თავისუფლება, მაგრამ...

ყველაფერთან ერთად, ერთი წლის წინ სოციოლოგიური კვლევებიც უცნაური იყო და საერთოდ არ ასახავდა მოსახლეობის განწყობას. ერთადერთი, ეკლესიისა და პატრიარქის უდიდეს ავტორიტეტს ვერ მოუხერხა მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერაფერი, პირველობა ვერ ჩამოართვა, თორემ ის, რომ პატრიარქისა და ეკლესიის შემდეგ ხალხს პრეზიდენტი და მთავრობა სიგიჟემდე „უყვარდა“, ჩვეულებრივი ამბავი იყო. არსებულ რეჟიმთან ერთად, სოციოლოგიური კვლევებიც უფრო რეალური გახდა და მოსახლეობაც უფრო თამამად მონაწილეობს მათში. რაც მთავარია, მათ არაფრის ეშინიათ და თამამად ამბობენ, რას ფიქრობენ ამა თუ იმ ინსტიტუტზე.

აგვისტოს ბოლოს ჩატარებულმა მორიგმა სოციოლოგიურმა კვლევამ, ცოტა არ იყოს, პარადოქსული შედეგი აჩვენა. პირველ ადგილზე ისევ ეკლესია და პატრიარქია, რაც არავის გაკვირვებია და ყველა თანხმდება იმაზე, რომ ეკლესიისა და მღვდელთმთავრის ავტორიტეტი ურყევია; მეორე ადგილზე შეიარაღებული ძალები ანუ არმია გავიდა. ლოგიკა ამაშიც არის, რამეთუ ჯარისკაცი თავდადებასა და ქვეყნის დაცვასთან იგივდება, მით უმეტეს, 2008 წლის შემდეგ, როცა ჩვენმა ბიჭებმა, ქვეყნის მთავარსარდლისგან განსხვავებით, ბოლომდე იბრძოლეს, თავი გადადეს და სამშობლოს ინტერესებს ზვარაკად შეეწირნენ. მიხეილ ჯავახიშვილს უწერია, მხოლოდ დამარცხებული ჯარის სარდალმა იცის, სინამდვილეში, რა და როგორ მოხდა, ვინ გარბოდა და ვინ იბრძოდა ბოლომდეო, მაგრამ აქაც პარადოქსთან გვაქვს საქმე — იმ ომში ჯარი არ დამარცხებულა, მთავარსარდალი ანუ მიხეილ სააკაშვილი დამარცხდა და თან ისე, რომ არც არაფერი იცოდა და არც არაფერი დაუნახავს. მიზეზი მარტივია — გორში „მთავარსარდალმა“ ისე მოკურცხლა, კაბა აკლდა, თორემ ცხონებული დოდო აბაშიძეც კი აღიარებდა, რომ ყვარყვარეს როლს მასზე უკეთ სწორედ სააკაშვილი შეასრულებდა.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მეორე ადგილზე ნდობის რეიტინგში არმიაა-თქო და ბოლო ადგილზე... მთავარსარდალი, ანუ ქვეყნის პირველი პირია. როცა უცხოელ ექსპერტებს ეს კვლევა უნახავთ, გაოცებისგან პირი დაუღიათ (შეშფოთება უკვე მოდიდან გადასულა) და უთქვამთ, პარადოქსია, როგორ შეიძლება ხალხი ჯარს ენდობოდეს და მთავარსარდალს არაო. მათ ძველ კვლევებშიც ჩაიხედეს და მიხვდნენ, რომ მაშინ ყველაფერი რიგზე ვერ თუ არ იყო და გაჩუმდნენ. გაჩუმდნენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა ეღიარებინათ, რომ ამ წლების განმავლობაში მათაც მწარედ ატყუებდნენ და ინფორმაციულ ვაკუუმში ჰყავდათ.

ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით კომენტარი სამხედრო ექსპერტს, ირაკლი ალადაშვილსა და საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს ვთხოვეთ. ისინი შეეცადნენ აეხსნათ, თუ რამ გამოიწვია ასეთი სხვაობა.

**ირაკლი ალადაშვილი: „ჯარი ნდობის რეიტინგში ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იყო და ეს შედეგი არ არის გასაკვირი. ჯარისკაცობა ხომ ქვეყნის სამსახურთან, პატრიოტიზმთან ასოცირდება. რაც შეეხება პრეზიდენტის ბოლო ადგილს, ეს მისი ქმედებებით არის გამოწვეული. ქმედებებით, რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურია. ეს განსაკუთრებით ბოლო დროს შეინიშნება. მისი გამონათქვამები და საქციელი ხანდახან აუხსნელიც კია“...**

**ირაკლი სესიაშვილი: „რეიტინგში ბოლო ადგილი საქართველოს პრეზიდენტს კი არა, უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილს უჭირავს. იგი ბოლო 5-6 წლის განმავლობაში სულ ბოლო იყო, მაგრამ ამას არავინ ამბობდა. კვლევებსაც მუდმივად მისი მეთვალყურეობით ატარებდნენ და ისეთ შედეგებს დებდნენ, რაც აწყობდათ. სააკაშვილმა კარგად იცოდა, რა ადგილი მიუჩინა ხალხმა და 27 ოქტომბრის შემდეგ, იგი რეიტინგებში საერთოდ ველარ მოხვდება. ვერც ახლა მოხვდებოდა, მაგრამ მაინც პრეზიდენტი ჰქვია და“...**

რაც შეეხება პირველ ადგილს — საქართველოს პატრიარქის სახით უდიდესი წინამძღოლი ჰყავს და ლოგიკურია, რომ ის პირველია. ესაა შედეგი, რომელიც არასოდეს არავის გაუპროტესტებია და იოტისოდენა ეჭვიც არ შეუტანია. ჯარის ნდობის რეიტინგი კი მთლიანად ჯარისკაცებისა და იქ მომსახურე ოფიცრების დამსახურებაა. ისინი პატრიოტები არიან, იციან თავისი საქმე და აჩვენეს კიდეც, რომ კრიტიკულ მომენტში უკან არც ერთი ნაბიჯით არ დაიხევენ.

მჯერა, 27 ოქტომბრის შემდეგ პრეზიდენტი ბოლო ადგილზე აღარ იქნება, რადგან გიორგი მარგველაშვილი შეძლებს, გახდეს ახალი ტიპის პრეზიდენტი. ის არ იქნება ერთი კონკრეტული ჯგუფის პრეზიდენტი, ის იქნება ქვეყნის პირველი პირი და, რაც მთავარია, პატივს სცემს კანონის უზენაესობას და ზუსტად ისევე დაიცავს მას, როგორც საქართველოს ნებისმიერი კანონმორჩილი მოქალაქე.



### დავით ბაქრაძემ აშშ-ში მცხოვრებ ქართულ ოჯახში ყურძენი დაწურა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი აშშ-ში მცხოვრებ ქართულ ოჯახს ესტუმრა. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბაქრაძემ ყურძნის დაწურვაში მიიღო მონაწილეობა. ამასთან, მან ოჯახი დალოცა და მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართულ ტრადიციებს არ ივიწყებენ.

ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი აშშ-ს რამდენიმე დღეა სტუმრობს.

*„ინტერპრესნიუსი“*



### ამ ზაფხულს ბორჯომში 10 000 ტურისტი ჩავიდა

ბორჯომის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ზაფხულის სეზონზე ბორჯომში, 10 000 ტურისტი ჩავიდა. როგორც „კომერსანტს“ ბორჯომის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში განუცხადეს, არსებული მონაცემები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 4-5 000-ით მეტია.

მათი თქმით, წელს ბორჯომის საკურორტო ზონაში ყველაზე მეტი ტურისტი ისრაელიდან, პოლონეთიდან და უკრაინიდან ჩავიდა. ამასთან ვიზიტორთა დიდი ნაკადი დაფიქსირდა ახალი ზელანდიიდან, კანადიდან და აზიური ქვეყნებიდან.

*რადიო „კომერსანტი“*



### საირმის კომპლექსში დამსვენებელთა ნაკადი 15%-ით გაიზარდა

საირმის გამაჯანსაღებელ კომპლექსში, ზაფხულის სეზონზე, შარშანდელთან შედარებით, წელს 15%-ით მეტი დამსვენებელი ჩავიდა. როგორც კომპლექსის ადმინისტრაციიდან „კომერსანტს“ აცნობეს, დამსვენებელთა 15%-იანი ზრდა მხოლოდ ერთი სასტუმროს დატვირთვის მიხედვით დაფიქსირდა, დარჩენილი 3 სასტუმროს მონაცემები მენეჯმენტს, ამ დროისთვის, დათვლილი არ აქვს. მათი თქმით, ზოგადი სტატისტიკა დარჩენილ სასტუმროებთან მიმართებაშიც მზარდია, რადგან სეზონის განმავლობაში, ყველა სასტუმრო სრული დატვირთვით მუშაობდა. მაისიდან მოყოლებული, საირმის კომპლექსით, 5 000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა. თანაბრად აქტიურობდნენ, როგორც ყაზახი, ასევე — აზერბაიჯანელი და ქართველი დამსვენებლები. რაც შეეხება ფასს, თუ ზაფხულის სეზონზე სასტუმროს ორადგილიანი ნომრის ღირებულება კვებითა და თერაპევტის მომსახურებით 129 ლარი იყო, სექტემბრიდან მისი ღირებულება 114 ლარამდე შემცირდა.

*რადიო „კომერსანტი“*

# ნოდარ ხადური გაფორმების ეკონომიკურ ზონებს აუქმებს?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამიჯვნაზე იწყებს მუშაობას. ამ პროცესს კოორდინაციას სპეციალური ჯგუფი გაუწევს, რომელსაც ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ხელმძღვანელობს. ფინანსთა მინისტრს თავისი არგუმენტი აქვს, რის გამოც საგადასახადო კოდექსი უნდა გაიყოს; წლების წინ კი რეფორმა განხორციელდა, რომლის შედეგადაც, ქვეყნის მასშტაბით, გაერთიანებული სამსახური შეიქმნა, რომელსაც საბაჟო-გამშვები პუნქტის ნაცვლად, გაფორმების ეკონომიკური ზონა — გეზ-ი დაერქვა. მას შემდეგ, რაც ნოდარ ხადურის ინიციატივით, კოდექსი ორ — საგადასახადო და საბაჟო ნაწილად გაიყოფა, გეზ-ის შეცვლა გარდაუვალი იქნება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს არცთუ იაფი დაუჯდება.**

## ფინანსთა მინისტრის სკანდალური ინიციატივა და გაჭიანურებული საგადასახადო კოდექსი



საგადასახადო კოდექსი, რომელშიც საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა გაერთიანდა, 2011 წელს მიიღეს. ფინანსთა სამინისტროს სურს, მომავალი საბაჟო კოდექსის შექმნაში ექსპერტები და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთონ. დისკუსია საჯარო უნდა იყოს და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა შეძლოს.

**„წინა ხელისუფლება ქმნიდა ილუზიას, თითქოს ქვეყანაში მარეგულირებელი დოკუმენტების რაოდენობას ამცირებდა, რის გამოც ხშირად ეკლექტურად აერთიანებდა აბსოლუტურად სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას, მათ შორის — საგადასახადო და საბაჟო კოდექსებსაც. საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მომზადების ფარგლებში, ჩვენი კანონმდებლობა, განსაკუთრებით, საბაჟო სფეროში, შესაბამისობაში მოვიყვანოთ ევროპულ კანონმდებლობასთან... ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება და ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო მუშაობა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამიჯვნაზე. მინდა, ვთხოვო იმპორტიორ და ექსპორტიორ კომპანიებს, ადამიანებს, რომლებსაც შეხება აქვთ საბაჟო სფეროსთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, რათა საბოლოოდ, მივიღოთ დოკუმენტი, რომელიც რეალურად იმუშავებს და მოხსნის იმ პრობლემებს, რაც შესაძლოა, დღეს კიდევ არსებობს“,** — აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

არსებული ინფორმაციით, ახალ კანონმდებლობაში დეტალურად აისახება საბაჟო ადმინისტრირების მექანიზმები და პროცედურები. შეიზღუდება ფინანსთა მინისტრის კომპეტენცია და საბაჟო სფეროში რეგულაციების დიდ ნაწილს კვლავ საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს. საბაჟო კოდექსი გადამხდელებს გაუადვილებს ინფორმაციის მიღებასა და ხელს შეუწყობს თანამედროვე საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებას.

მოქნილი, გამჭვირვალე, ბიუროკრატიული მექანიზმებისა და ზედმეტი რეგულაციებისგან თავისუფალი კოდექსი, რომელსაც „რევოლუციური“ უწოდეს, როგორც აღვნიშნეთ, 2011 წელს მიიღეს. საბაჟო და საგადასახადო კოდექსის გაერთიანებაზე მუშაობა კი გაცილებით ადრე, 2006 წლის ბოლოდან დაიწყო. ეს ის დროა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, იმპორტიორ-ექსპორტიორებმა საბაჟო, როგორც ტერმინი, სამუდამოდ დაივიწყეს და ჯერ საგადასახადო-შემოსავლების სამმართველოდ, ბოლოს კი გეზ-ად ანუ გაფორმების ეკონომიკურ ზონად გარდაქმნეს.

ხანგრძლივი და ცხარე დებატების ფონზე, საბაჟო და საგადასახადო სამსახურები ერთ უწყებად — შემოსავლების სამსახურად ჩამოყალიბდა. რეფორმა აუცილებელი იყო, მაგრამ ხანგრძლივი და დროში გაწელილი გამოდგა, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი კი, ლამის, ყოველდღიურად იცვლებოდა, რასაც მსხვილი, წვრილი თუ საშუალო მეწარმეების უკმაყოფილება ახლდა. რეფორმა, ავად თუ კარგად, დასრულდა, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებიც და ბიზნესწრეების წარმომადგენლებიც კოდექსს ნელ-ნელა შეეჩვივნენ. იმის მტკიცება, რომ საგადასახადო კოდექსი იდეალური იყო, აბსურდია, რადგან იდეალური კანონები არ არსებობს. ცალკეულ შემთხვევაში, კანონში ცვლილება სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ არც ის ვარგა, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი ისეთი ინტენსივობითა და იმდენჯერ ცვალო, რომ ფინანსურ მენეჯერებსა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს თავ-გზა აუბნიო.

არასამთავრობო სექტორისა და ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს, თავის დროზე, სწორედ იმის გამო საყვედურობდნენ, რომ საგადასახადო კოდექსს ხშირად ცვლიდა. ასეთი სიხშირით ცვლილების შეტანას ბიზნესი ფეხს ვეღარ უწყობს, ინვესტორებს კი არასტაბილური საგადასახადო გარემოს შთაბეჭდილებას უტოვებს.

მას შემდეგ, რაც ნოდარ ხადურის გადაწყვეტილებით, საბაჟო და საგადასახადო კოდექსი გაიმიჯნება, გაფორმების ეკონომიკური ზონა — გეზ-იც შეიცვლება, თან სრულიად საქართველოს მასშტაბით. ერთ შენობაში გაერთიანებული საბაჟო და საგადასახადო სამსახური განცალკევდება, რასაც შენობის, უფრო ზუსტად, გამჭვირვალე შუშის შენობების დემონტაჟი თუ არა, რემონტი მაინც მოჰყვება. ბოლოს და ბოლოს, სახელწოდებაც შეიცვლება, რასაც საკმაოდ სოლიდური თანხა დასჭირდება. მართალია, იმპორტიორების, ექსპორტიორების, ინვესტორების, ზოგადად, ბიზნესმენებისა და ჩვენი, ჟურნალისტების მეხსიერებაში, დიდი ხნის წინ წაშლილი საბაჟო სამსახური ისევ დაბრუნდება, რაც უდავოდ, კარგია, მაგრამ საკითხავია, დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, რამდენად გამართლებულია ზედმეტი ხარჯის გაღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

კარგი იქნება, თუ ფინანსთა მინისტრსა და მისი ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს ამ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხები ექნებათ. ისე, ამ ეტაპზე ისიც პოზიტიურია, რომ ნოდარ ხადური ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ იღებს და ყველა დაინტერესებულ პირს მოუწოდებს, დოკუმენტზე მუშაობის პროცესში აქტიურად ჩაერთოს.

საბაჟო და საგადასახადო კოდექსში კარგად გარკვეული და საკმაოდ ინფორმირებული სპეციალისტის მოსაზრებით, რომელმაც ამ ეტაპზე ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია, ნოდარ ხადურს საგადასახადო კოდექსის გამიჯვნის ორი არგუმენტი აქვს:

**„პირველი, ევროკავშირის მოთხოვნით, საბაჟო კოდექსი ცალკე დოკუმენტად უნდა არსებობდეს და მეორე — სამწუხაროდ, საბაჟო სფეროში რეგულაციების დიდ ნაწილს პარლამენტი კი არა, ფინანსთა მინისტრი განსაზღვრავს, ამიტომ ნოდარ ხადური ითხოვს, ნებისმიერი რეგულაცია პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილების სახით მიიღოს, რაშიც 100%-ით ვეთანხმები. წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს, ფინანსთა მინისტრმა ცუდ განწყობაზე რომ გაიღვიძოს და, ბრძანებულების საფუძველზე, საბაჟო სფეროში რადიკალური ცვლილებები განახორციელოს, იმპორტიორები და ინვესტორები რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან?! ამიტომ სწორია, ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით საბაჟო სფეროში, ერთ დღეში კი არ მივიღოთ, არამედ პარლამენტმა იმსჯელოს და საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდეს. იმის გამო, რომ ფინანსთა მინისტრს ასეთი უფლებამოსილება აქვს, ინვესტორების თვალში ჩვენს ქვეყანას არასტაბილურ საგადასახადო იმიჯს უქმნის“.**

რამდენად გამართლებულია ზემოხსენებული, საკმაოდ სერიოზული მიზეზის გამო საგადასახადო კოდექსის გამიჯვნა? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა „ვერსიის“ წყაროსაც უჭირს. თუკი მთავარი პრობლემა ისაა, რომ საბაჟო სფეროში გარკვეული რეგულაცია ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კი არა, საკანონმდებლო ცვლილების სახით უნდა შეიცვალოს, მაშინ რა პრობლემაა, საგადასახადო კოდექსის საბაჟო ნაწილში სწორედ ეს ცვლილება რომ შევიდეს? მარტივად რომ ვთქვათ, ნოდარ ხადურს, ბრძანების საფუძველზე, ცვლილების განხორციელების უფლება ჩამოვართვათ და საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტს გადავცეთ. წყაროს ინფორმაციით, ეს არცთუ მარტივია:

**„შინაარსი სწორია, მაგრამ ყველაფერი ეს საგადასახადო კოდექსის საბაჟო ნაწილში ცვლილების სახით რომ აისახოს, საბოლოოდ, 800-გვერდიან დოკუმენტს მივიღებთ, რაც არ შეიძლება — შეუძლებელია ამ მოცულობის დოკუმენტის წაკითხვა, გააზრება და მასში გარკვევა. სამწუხაროდ, არ ვიცი, რამდენად მყარია ეს არგუმენტი, მაგრამ ოფიციალურ უწყებაში — ფინანსთა სამინისტროში ასე აცხადებენ და თუ მართლაც 800-გვერდიან დოკუმენტს მივიღებთ, უმჯობესია, საგადასახადო კოდექსი გაიყოს“.**

რაც შეეხება ნოდარ ხადურის პირველ არგუმენტს, რომლითაც საგადასახადო კოდექსი ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციით უნდა გაიყოს, „ვერსიის“ წყარო ამბობს, რომ შესაძლოა, ფინანსთა მინისტრი ევროკავშირის რამდენიმე ექსპერტს გულისხმობს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ხშირად სტუმრობს:

**„არ გამოვრიცხავ, ევროკავშირის ექსპერტებს ეთქვათ, უკეთესი იქნება, თუკი საგადასახადო კოდექსს საბაჟო ნაწილი გამოეყოფაო, მაგრამ ამ ტიპის განცხადება იმას არ ნიშნავს, რომ კოდექსი აუცილებლად უნდა გაიყოს. ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაცია საკმარისი არგუმენტი არაა, რადგან არ გვინახავს ოფიციალური დოკუმენტი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ თუ საგადასახადო კოდექსი არ გაიმიჯნება, საქართველო ევროკავშირის წევრი ვერ გახდება ან ვერ მიიღებს ასოცირების ხელშეკრულებას ანუ თუკი ბრიუსელში კატეგორიულად გვთხოვენ საგადასახადო კოდექსის გაყოფას, გარკვევით უნდა გვითხრან და მოთხოვნასაც შევასრულებთ. ისე, თავის დროზე, საბაჟო და საგადასახადო კოდექსის გაერთიანებაც მარაზმი იყო — გაერთიანებაში, თავისთავად, ცუდი არაფერია, მაგრამ ისე გააერთიანეს, რომ კოდექსიდან სიტყვა საბაჟო ამოიღეს. მსოფლიოში საბაჟო, როგორც ტერმინი დამკვიდრებულია, საქართველოში კი ერთი კაცის — სააკაშვილის ახირების გამო, რომელსაც ეს ტერმინი არ მოსწონდა, შეცვალეს. ასე იყო თუ ისე, კოდექსი გაერთიანდა და როგორც საქმიანი წრეების, ასევე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებიც მიეჩვივნენ. გარწმუნებთ, არც ერთ ბიზნესმენსა და ინვესტორს არ შექმნია პრობლემა იმის გამო, რომ საბაჟო და საგადასახადო კოდექსი გაერთიანდა. შესაძლოა, პრობლემა მართლაც არის და ფინანსთა მინისტრი ამიტომ ითხოვს გამიჯვნას, მაგრამ არც იმხელა პრობლემაა, რომ საგადასახადო კოდექსი გაიყოს“.**

ბიზნესს სტაბილურ საგადასახადო გარემოში არსებობის გარანტია სჭირდება და არ შეიძლება, ოთხ წელიწადში ერთხელ, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი ვცვალოთ! არადა, წინა ხელისუფლებას ბიზნესასოციაციის წარმომადგენლები და არასამთავრობოები უმთავრესი რეკომენდაციით მიმართავდნენ, ნუ შეიტან საგადასახადო კოდექსში ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს, ბიზნესი ამ ცვლილებებს ფეხს ვერ უწყობს, არ შეიძლება, ის დოკუმენტი ჯიჯგნო, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლაო!

## ვერსიანიუსი



### ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენები მთავრობის გადაწყვეტილებებს უშედეგოდ ელოდებიან

„კომერსანტის“ მიერ გამოკითხული ბიზნესმენები ღიად აცხადებენ, რომ მთავრობის მხრიდან ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენებთან დაკავშირებით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება გაჭიანურდა. პრემიერი და მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენებისთვის ქონების დაბრუნების საკითხი პოლიტიკური გადაწყვეტილებით დარეგულირდება, რადგან ამ ქონების პირდაპირ დაბრუნება, სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვება.

„ალბატროს ჯგუფის“ დამფუძნებელი, რომელიც ბიზნესის დაბრუნებისათვის რამდენიმე თვეა სასამართლოში იბრძვის, აცხადებს, რომ მთავრობის ქმედება და განცხადებები, ბნელ ოთახში კატის ძებნას ჰგავს. დავით ბეგიაშვილის თქმით, ამ დრომდე მთავრობის სიტყვას ქმედება არ მოჰყოლია, თუმცა კვალიფიციური გამოძიების შემთხვევაში, სიმართლის დადგენა რთული არ იქნებოდა და პრობლემა ამ დრომდე მოგვარდებოდა.

კუს ტბის ყოფილი მფლობელიც ამბობს, რომ მთავრობის ქმედებების პროგნოზირება, მით უმეტეს, წინასაარჩევნოდ, შეუძლებელია. ბესიკ ხარძიანის თქმით, აუცილებელია, რომ ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენების საკითხზე, იუსტიციის სამინისტროში შეიქმნას კომისია, რომელიც რეკომენდაციებს გასცემს სხვადასხვა საქმეებზე და ეს რეკომენდაციები სასამართლოს საქმეს გაუადვილებს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურა აბაშიძე ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ პარლამენტსა და მთავრობას შორის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, ამ თემებზეც მუდმივი კონსულტაციები მიმდინარეობს. აბაშიძის თქმით, შესაძლოა, ვილაცისთვის სამართალი იგვიანებს, ხოლო ვილაცას პრობლემა უკვე მოუგვარდა. უმრავლესობის წევრის შეფასებით, ეს მუდმივი და ბუნებრივი პროცესია.

*რადიო „კომერსანტი“*

# ირმა ინაშვილი ეკა კვესიტაძესა და დავით პაიჭაძეს „ობიექტივში“ გადაცემებს სთავაზობს!

რუსუდან შელია
557-100-768

**კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა ტელეკომპანია „ობიექტივის“ საქმე უკვე განიხილეს. როგორ გასხვისდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ობიექტივის“ საკონტროლო პაკეტი და რას ელოდება დროებითი კომისიისგან მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი? — „ვერსიას“ ირმა ინაშვილი ესაუბრა.**



რატომ უჩივის ევროპარლამენტარ ანა გომესს და აქვს თუ არა წართმეული ლიცენზიის დაბრუნების იმედი „ობიექტივის“ ხელმძღვანელს

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წელს, მედიაკავშირ „ობიექტივს“ კუთვნილი 35-ე დეციმეტრული სიხშირე წაართვეს, რომლის საშუალებითაც ტელეკომპანია თბილისის მასშტაბით მაუწყებლობას შეძლებდა. მაშინ არხის პროდიუსერი და მენეჯერიც მე ვიყავი და საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტელევიზიის შექმნას ვცდილობდი, თუმცა „ვარდების ხელისუფლებამ“ ტელეკომპანიის დირექტორი მიხეილ აგლაძე მარეგულირებელ კომისიაში დაიბარა და კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა პირდაპირ უთხრა, რომ ტელევიზიაში კუთვნილი წილი უნდა დაეთმო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არხის თანამშრომლებს დააპატიმრებდნენ. ეს მუქარა სასაცილოდ ჟღერდა, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ აღფრთოვანებული იყო „ვარდების რევოლუციის“ შედეგებით, თუმცა პირადად მე, თავიდანვე ვიცოდი, რა ძალასთან გვქონდა საქმე.

— **მიხეილ აგლაძემ წილი ვის სასარგებლოდ დათმო?**

— მიხეილ აგლაძეზე ზეწოლამ ინტენსიური სახე მიიღო — პირადად დიმიტრი ქიტოშვილი გვირეკავდა და გვემუქრებოდა — პრობლემები შეგექმნებათო. ამ ფონზე, ბუნებრივია, თავგანწირვას ყველას ვერ მოსთხოვ და ვერც იმას ეტყვი, წილი არ დათმო და ციხეში ჩაჯექიო, ამიტომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედეთ და იმ პიროვნებასთან შეხვედრა გადავწყვიტეთ, რომლისთვისაც, დიმიტრი ქიტოშვილის მოთხოვნით, ტელეკომპანიის წილი უნდა გადაგვეფორმებინა. ეს პიროვნება ახალგაზრდა სტომატოლოგი დავით კაკაურიძე აღმოჩნდა, რომელსაც ტელევიზიასთან შეხება არასოდეს ჰქონია. მას ტელეკომპანიის 50%-იანი წილი გვიან ღამე გადავუფორმეთ, თუმცა საკონტროლო პაკეტი ჯერ კიდევ ჩვენს ხელში იყო. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწორედ ამ 1%-ისთვის დაიწყო. იმის გამო, რომ მიხეილ აგლაძე საკონტროლო პაკეტის გადაცემაზე უარს ამბობდა, სახლთან უცნობი პირები დახვდნენ და იმდენად მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს, რომ დღეს ინვალიდია. ეს იყო გამოუსწორებელი ზიანი, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ მოგვაყენა.

— **იცით, დიმიტრი ქიტოშვილი ვისი დირექტივით მოქმედებდა ან ნაცმოძრაობას 2004 წელს, ჯერ კიდევ ახლადშექმნილი ტელევიზიის რატომ ეშინოდა?**

— ბუნებრივია, დირექტივა მაღალი ეშელონებიდან მოდიოდა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ჩემს ხელში ტელევიზია არ უნდა აღმოჩენილიყო. ამის შემდეგ მიხეილ აგლაძემ და ტელევიზიის დანარჩენმა მესაკუთრეებმა კაკაურიძის სასარგებლოდ 1%-იც დათმეს. მოგვიანებით, 35-ე დეციმეტრულ სიხშირეზე, რომელზეც „ობიექტივი“ მაუწყებლობდა, მოულოდნელად, ახალი ტელევიზია გაჩნდა — ტელეკომპანია „ალანია“, რომელიც სამი წლის განმავლობაში აბსოლუტურად არალეგალურად, საგადასახადო რეგისტრაციის გარეშე მაუწყებლობდა და თანამშრომლებისთვის ხელფასების გაცემაც კი არ ფიქსირდებოდა. მაშინ მარეგულირებელ კომისიას ვკითხეთ, თუ რომელ სიხშირეზე მაუწყებლობდა ახალი ტელევიზია, პასუხი კი მხოლოდ 2008 წელს გაგვცეს და დაგვიდასტურეს, რომ „ალანია“ „ობიექტივის“ სიხშირეზე გადიოდა. ყველაფერ ამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კაკაურიძემ„ ობიექტივის“ წილი ვინმე ნოდარ ჭარხალაშვილს გადაუფორმა, რომელიც მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის, სოფიო ბრიტანჩუკის მეუღლე იყო. თინა ხიდაშელის განცხადებით, როცა ჭარხალაშვილმა წილი იჩუქა, მისი მეუღლე მაშინ კომისიის წევრი არ იყო, თუმცა ეს ვითარებას არ ცვლის, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, კომისიის წევრს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტელევიზიის მიმართ ინტერესი არ უნდა უფიქსირდებოდეს. პროცესი აქ არ გაჩერებულა — მალე ნოდარ ჭარხალაშვილმა „ობიექტივის“ წილი გურამ გრიგალაშვილს გადაუფორმა.

— **ანუ ამით კვალის დაფარვა ხდებოდა?**

— რა თქმა უნდა... გურამ გრიგალაშვილს რამდენიმე წლის განმავლობაში ვეძებდი, მხოლოდ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მივაგენი და სიმართლის თქმა საჯაროდ შევთავაზე, თუმცა უარი მითხრა. გურამ გრიგალაშვილმა ნოდარ ჭარხალაშვილისგან მიღებული წილი 2008 წელს სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა. მარეგულირებელ კომისიის სხდომას მაშინ გიორგი არველაძე ხელმძღვანელობდა, რომელმაც მითხრა, დღეს ჩვენ ძლიერები ვართ და იმას გავაკეთებთ, რაც გვინდაო.

— **„ობიექტივის“ საკონტროლო პაკეტი დღემდე სახელმწიფოს ხელშია?**

— 2008 წელს სახელმწიფომ 35-ე სიხშირე ტელეკომპანია „ალანიას“ გადასცა, რომელიც მანამდე ულიცენზიოდ მაუწყებლობდა. ეს ტელევიზია კონტრდაზვერვის მიერ იყო შექმნილი, რომლის უკან ამირან მესხელი, ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი იდგა. როცა მსგავს უსამართლობაზე საუბარი ხმამაღლა დავიწყეთ, ტელეკომპანია „ალანიას“ სახელი გადაარქვეს და „რეგიონ-ტვ“ უწოდეს, რომელიც შემდეგ „პიკს“ შეუერთეს.

— **ფიქრობთ, პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ დადებული დასკვნის შემდეგ ლიცენზია დაგიბრუნდებათ ან საქმეში მონაწილე პირები დაისჯებიან?**

— ჩვენი მთავარი მიზანია, კომისიამ სამართლიანი დასკვნა დადოს და „ობიექტივის“ მიმართ ჩადენილი დანაშაული ისტორიას დარჩეს, რათა მსგავსი პრობლემები მომავალში არც ერთ ტელეკომპანიას არ შეექმნას. სხვათა შორის, პარლამენტის დროებითი კომისია საკმაოდ კომპეტენტურად მუშაობს. მისი ხელმძღვანელი თინა ხიდაშელიც ინფორმაციას სრულად ფლობს. სიმართლე გითხრათ, არ მაქვს მოლოდინი, რომ წართმეულ ლიცენზიას დაგვიბრუნებენ ან სახელმწიფო, სანაცვლოდ, ახალ სიხშირეს მოგვცემს, მაგრამ თინა ხიდაშელის პროფესიონალიზმის იმედი ნამდვილად მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელები არასოდეს მომწონდა და არც მათ იდეოლოგიას ვიზიარებ.

მართალია, თინა ხიდაშელმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამ საქმეზე გრიგალაშვილს, ჭარხალაშვილსა და კაკაურიძეს დაიბარებენ, მაგრამ არ მაქვს მოლოდინი, რომ ვინმე დაისჯება. მთავარია, დოკუმენტი გვექნება, რითიც საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციები შეიტყობენ, რომ არხი ნამდვილად წაგვართვეს.

— **ირმა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, კოალიციის მმართველობის პირობებში, მედია სახელისუფლო ზეწოლისგან გათავისუფლდა?**

— მიუხედავად იმისა, რომ დავით პაიჭაძისა და ეკა კვესიტაძის გადაცემები არ მომწონდა, მიმაჩნია, რომ ყველა ხელისუფლება ჟურნალისტებისთვის გადაცემის დახურვის საკითხს ფაქიზად უნდა მოეპყროს. მზად ვარ, ორივე ჟურნალისტს „ობიექტივში“ ეთერი დავუთმო, რადგან კარგად ვიცი, რა განცდაა, როცა ტელევიზიიდან გათავისუფლებენ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა „პირველი არხიდან“ გამოგვყარეს, არავის დაუფასებია ჩვენი პროფესიონალიზმი, წარსული და გამოცდილება, ამიტომ არ მინდა, მეც იგივენაირად მოვიქცე. შესაძლოა, საზოგადოებრივ მაუწყებელს თავისი გათვლები და პოლიტიკა აქვს, მაგრამ ამ ჟურნალისტებს „ობიექტივში“ იმიტომ ვიწვევ, რომ მათ არსებული სივრცე დაეხურათ.

— **ამასობაში, ევროპარლამენტარი ანა გომესი ექსტრემისტს გიწოდებთ და იუსტიციის მინისტრს თქვენს შეჩერებას სთხოვს.**

— ამას ნაციონალური მოძრაობა აკეთებს, რადგან კარგად ვიცით, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას დასავლეთში პოზიციები წაგებული აქვს. არგუმენტი, რომ „ოცნების“ პრიორიტეტი პიარსა და ლობისტებში ფულის დახარჯვა არ არის, გაუმართლებლად მეჩვენება, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ციხის კადრების გავრცელების შემდეგ ევროსტრუქტურებში, ბრიუსელში, სტრაბსურგსა და ვაშინგტონში პოზიციები მოგებული გვქონდა და აზრი ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ იყო შეცვლილი.

— **ხელისუფლებამ დასავლეთში პოზიციები ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ შეგნებულად დათმო?**

— ალბათ, არა... ეს უფრო იმით აიხსნება, რომ ხელისუფლება სხვადასხვა დასავლელი კონგრესმენის რეკომენდაციებს უსმენს. სხვათა შორის, როცა ანა გომესის განცხადების შესახებ შევიტყვე, აღმოვაჩინე, რომ მსგავსი პრეცენდენტი, როცა დეპუტატი უცხო ქვეყნის ჟურნალისტს ექსტრემისტს უწოდებს, ევროპარლამენტში არ მომხდარა, ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიური ბომბია, რომელზეც საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ საზღვარგარეთ რეიტინგული ოპონენტების წინააღმდეგ. ანა გომესს ბრიუსელში, ლისაბონსა და სტრასბურგში აუცილებლად ვუჩივლებთ, რომ ინფორმაცია არ გადაამოწმა და შეურაცხყოფა მომაყენა. მისგან, ბოდიშის მოხდასთან ერთად, ფულად კომპენსაციასაც მოვითხოვ, რადგან მსგავსი განცხადება პირდაპირი სიგნალია, რომ ჩვენს არხზე რეკლამა არვინ მოიტანოს... ამიტომ ეს ფულადი ზარალი გომესმა უნდა აგვინაზღაუროს!

## ვერსიანიუსი



### ოკუპანტებმა დვანში საოკუპაციო ხაზი 400-500 მეტრით გადმოწიეს

ამის შესახებ„პირველს“ ადგილობრივ კორესპონდენტს დვანის გამგებელმა ზაზა კოპაძემ განუცხადა.

მისი თქმით, რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილობრივის ბაღი და მიწის ნაკვეთი მოექცა.

როგორც კოპაძე აცხადებს, ჯერჯერობით დაუდგენელია, რა სიგრძეზე მიმდინარეობს ე.წ. საზღვრის სადემარკაციო სამუშაოები.

*„პირველი“*

### ქართულ ღვინოზე მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს გადაიღებენ

ქართულ ღვინოზე რუსულენოვანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღება იგეგმება.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა კახეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის საღამოზე განაცხადა, ფილმი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ყველა რუსულენოვან ქვეყანაში გავა. ის ხელმისაწვდომი იქნება როგორც ვებ, ისე სატელევიზიოში ქსელში.

ლევან დავითაშვილის თქმით, ღონისძიების მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია და მეზობელი ქვეყნების სომალიეთა ასოციაციებისთვის მისი გაცნობა იყო.

შეხვედრას რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტები დაესწრნენ. დავითაშვილის განცხადებით, ეს ადამიანები ამ ქვეყნებში ღვინის ბაზრის ჩამოყალიბებაზე ახდენენ გავლენას და ღონისძიებაც სწორედ ამ მიზნით გაიმართა.

*„მედიანიუსი“*



## გაჩინოვნიკებული ხელოვანი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „დიმა ვარ, ჯაიანი და უნდა ხარობდნენ, რომ ამ პოსტზე მოვედი!“



## როგორ დაინიშნა აფხაზეთის კულტურის მინისტრად, რა სთხოვა არჩილ კბილაშვილმა და ემზადება თუ არა დიმა ჯაიანი რევანშისთვის

**მსახიობი, სახალხო არტისტი და „ოცნების“ გულშემატკივარი დიმიტრი ჯაიანი ახლახან, აფხაზეთის მთავრობის კულტურის მინისტრად დაინიშნა. მინისტრის რანგში პირველ ინტერვიუს „ვერსიას“ აძლევს და ყველა კითხვას ჩვეული ექსპრესიულობით პასუხობს.**

— **ბატონო დიმა, ბოროტი ენები ამბობენ, ჯაიანი რევანშისთვის ემზადებაო. ასეა?**

— არავითარ რევანშს არ ვაპირებ... თუ ვინმეს ჰგონია, რომ მსახიობი პოლიტიკური სიმპათიებით გაირჩევა, ძალიან ცდება. შეიძლება, შიგნით, გულში რაღაც ხინჯი მქონდეს, ვიღაც ასე რატომ იქცეოდა-მეთქი, მაგრამ ეს ჩემი პირადი აზრია, რომელიც გულშივე უნდა მოვიკლა. 9 წლის განმავლობაში, როცა ნაციონალური მოძრაობა საქართველოს აუპატიურებდა და თეატრში მისი „შნირები“ იყვნენ, ასეთ ადამიანებსაც არ გავუშვებ. პირიქით, მათ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა. კიდევ ერთ რამეს გეტყვით, რაც სწორად ერთმა ჟურნალისტმაც არ დამიწერა: საერთოდ, თეატრში უნიჭობა ნიჭიერებაზე ბობოქრობს და დიდი ბედნიერებაა, თუ რომელიმე თეატრში 7-8 ნიჭიერი მსახიობი მაინცაა... ყოველთვის უნიჭოები აწყობენ რაღაც მიტინგებს, რადგან უმრავლესობას წარმოადგენენ. ყველა თეატრში ასეა და ეს ცნობილი ამბავია. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ჩხეიძეს, სტურუას, ქავთარაძეს, მაგრამ შეურაცხყოფას არც ამ უნიჭოებს მივაყენებ, უბრალოდ, ნიჭიერებაზე უნიჭობას ვერ ვაზეიმებ! ესაა სამართლიანობის აღდგენა, თორემ ადამიანებს კი არ უნდა გამოეკიდო და უთხრა, შენ ნაციონალი იყავიო. ღმერთმა დამიფაროს! მეტიც, ვიღაც პირდაპირ გამოდიოდა და ამბობდა, რომ კაცი მოვკალი. ამიხსენით, ასეთ ადამიანს არ უნდა ვკითხო, ამას რატომ აკეთებდა, ამის თქმას ვინ აიძულებდა?! ამ საქმეზე არჩილ კბილაშვილთან უკვე ვიყავი და მთხოვა, ერთი წლის განმავლობაში ამით ნუ შემაწუხებ, უფრო საჩქარო საქმეები მაქვსო.

— **კარგია, რომ ამ თემას თავად შეეხეთ — ყოველთვის ამბობდით, მიხეილ ქვაჭრელიშვილი იმიტომ მოკლეს, რომ დანაშაული ჩემთვის დაებრალებინათო. გამოძიება ჯერ არც წინ წასულა და არც საქმე დახურულა...**

— იქნებ, იმ თეატრში ვიღაც ქალი, კაცი ამ საქმეშია გარეული... ხომ უნდა გაირკვეს სიმართლე?! ასე ვერ მოვისვენებ — როცა ხელს მადებ, ბრალდებაც უნდა დაამტკიცო. პირდაპირ ვამბობ, როცა მინისტრის კაბინეტში შევალ, ჩემი უპირველესი მოვალეობა ის იქნება, საქმე აუცილებლად დროზე დავახურინო.

— **ეს განცხადება რას ნიშნავს?**

— ეს ჩემი მოვალეობაა — მართლაც, არ შეიძლება, მთელ ქალაქში კითხვა მუსირებდეს, მოკლა თუ არა ჯაიანმა კაცი! გული მწყდება, ახალგაზრდა ბიჭი იმას რომ შეეწირა, მკვლელობა ჯაიანს დაბრალებოდა. აი, ესაა ტრაგედია და ამ ტრაგედიას წერტილი დაესმება, არჩილ კბილაშვილი მთელი საქართველოს წინაშე ვალდებულია, სიმართლე გაარკვიოს! აი, მე რომ მივალ, იმ ადამიანებს, ვისაც „ვერხუშკას“ ეძახიან და ნაციონალების ტაშისკვრით ხელები აქვთ გატყავებული, მალამოს ვერ წავუსმევ.

— **სოხუმის თეატრის მმართველ მერაბ ბრეკაშვილზე გკითხავთ — „ვერსიასთან“ ინტერვიუში ისიც კი გაქვთ ნათქვამი, მოვა დრო და ბრეკაშვილს საკუთარ ხორცებს დავაჭმევინებო. ეს დრო მოვიდა?**

— ბრეკაშვილი ახლა უკვე კი უნდა იჭამდეს ხორცს... ამ კაცს, როგორც პიროვნებასა და მოქალაქეს საერთოდ არ ვიცნობ, მაგრამ ამ ორი დღის წინ ფაცებოოკ-ზე დაწერა, ვინ ეკითხება ჯაიანს, თეატრზე რომ ლაპარაკობს, გინების მეტი არაფერი უკეთებიაო. ამის შემდეგ როგორ უნდა მოვექცე და რა უნდა გავუკეთო?! მაშ, ეს უკვე ხორცნაჭამი კაცი არ არის?! ხმამაღლა ვაცხადებ: დიმა ჯაიანმა გადაარჩინა სოხუმის თეატრი დევნილობაში, მერე სტურუამ, მერე სხვებმა, მაგრამ პირველ რიგში, მე გადავარჩინე! რომ არა მე, დიმა ჯაიანი, საქართველოს სახალხო არტისტი, ეს თეატრი არ იარსებებდა! ბრეკაშვილისნაირები თეატრში, ალბათ, ბევრი მყავს. ისე, უდავოდ ნიჭიერი კაცია, არ უარვყოფ, მაგრამ არარაობაა!

— **ე.ი. თეატრში მაინც დარჩება, არა?**

— რა თქმა უნდა, დარჩება, როგორც მსახიობი, მაგრამ სამხატვრო ხელმძღვანელი აღარ იქნება! როგორ შეიძლება, გამსახურდიას თეატრში ისეთი პიროვნება იჯდეს ხელმძღვანელად, კატეხიზმო ერთი მოთხრობა რომ ჰგონია, რას მელაპარაკებით?!

— **მეტიც, უკვე ნათქვამი გაქვთ, რომ იცით ახალი ხელმძღვანელის სახელი. ეს ვინ არის?**

— ერთი ძალიან ცნობილი ახალგაზრდა კაცის კანდიდატურა მყავს, მისი მჯერა. ახლა რაღაც მოლაპარაკებები მიდის და ცოტა ხნის შემდეგ სიამაყით წარმოვთქვამ მის სახელს. ძალიან მინდა, სოხუმის თეატრს მან უხელმძღვანელოს, რადგან ბევრ სიკეთეს გააკეთებს. ალბათ, დაბრუნდებიან წამყვანი მსახიობები — მერაბ ყოლბაია, ლეილა კალანდია და ყველა, ვინც დიდი ხანია, თეატრიდან წასულია და სამწუხაროდ, ერთხელაც არავის მოუკითხავს. არადა, ისინი გამსახურდიას თეატრის სახეს წარმოადგენენ!

— **ისე, როცა თეატრიდან გაგიშვეს, დასი ორად გაიყო — ვიღაც თქვენს მხარეს იყო, ვიღაც წინააღმდეგ. ხალხს ამ ნიშნით ხომ არ გადაარჩევთ?**

— არავითარი გადარჩევა არ იქნება, რევანშისტი კაცი არ ვარ! თეატრის ხელმძღვანელი ვიყავი და ცხოვრებაში რეჟისორის საქმეში არ ჩავრეულვარ, პიესა არ გამინაწილებია! შემამოწმეთ, შეეკითხეთ ყველას — ჩხეიძეს, ჟორდანიას, კაპანაძეს... ვისაც გინდათ! ერთხელ ჩავერიე, როცა გოგა თავაძე გამსახურდიას ნოველებს დგამდა, მერაბ ბრეკაშვილი არ იყო დაკავებული და მთავარ როლზე დააკავე-მეთქი, ვუთხარი. ის ვერ ხედავდა ამ როლში, მე — ვხედავდი. დამიჯერა და მოიგო სპექტაკლმა! ერთადერთხელ ჩავერიე და ისიც ბრეკაშვილის საკეთილდღეოდ.

— **საერთოდ, როგორ გადაწყდა თქვენი ამ პოსტზე დანიშვნა — ბოლო დროს ნაციონალების გულშემატკივარი მსახიობები, მომღერლები და რეჟისორები უკანა პლანზე იწევენ, „ოცნების“ მომხრეები კი პოსტებზე ინიშნებიან, ესეც ერთგვარი რევანშია?**

— ამაში ვერაფრით დაგეთანხმებით!

**მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ისევ ჭოლაა, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ არ მოიაზრებოდა, არც დოიაშვილი... ღმერთმა ნუ ქნას, მსახიობები და რეჟისორები „მიშისტებად“ და „ოცნებისტებად“ დავყოთ. ვიცი, რასაც გულისხმობთ, როცა ამბობთ, „მიშისტები“ სცენაზე არ ჩანანო — ისინი მარტო „მიშისტები“ კი არ იყვნენ, სხვა უმსგავსობასაც სჩადიოდნენ. თქვენ ხომ არ იცით, კულისებში რა ხდებოდა?**

— **მომიყევით.**

— სხვებს თელავდნენ, საშინელებებს სჩადიოდნენ. ერთი ანსამბლი ჩაწიხლეს, გათელეს, არსად გაახარეს, რადგან მათი ხელმძღვანელიცა და წევრებიც არანაციონალები იყვნენ.

— **დააკონკრეტეთ, ვის გულისხმობთ?**

— აი, ეს ადამიანები არ ჩანან დღეს სცენაზე, ვინც ამ ჩაწიხვლაში მონაწილეობდა, თორემ ის, ვინც ნაციონალებს უმღერდა, დღესაც უმღერის. არ ვყოფ ადამიანებს „ამისტებად“ და „იმისტებად“ — შეიძლება, კაცი პარტიაშიც იყოს, მაგრამ არაფერს აშავებდეს. პირიქით, იყოს დღესაც იმ პარტიაში, რადგან ასეთ ადამიანებს უფრო დიდ პატივს ვცემ, ვიდრე „ოცნებაში“ გამოქცეულებს. საოცრება ხდება — ხალხი ნაციონალური მოძრაობიდან გამოიქცა და ახლა „ოცნების“ მოწინავე ხაზზე დგას. ასეთი ადამიანი უფრო საშიშია და ასეთებთან კავშირი არ მექნება.

— **თქვენ თვითონ როგორ დაინიშნეთ მინისტრად, ეს ვინ და როგორ გადაწყვიტა?**

— საქართველოს სახალხო არტისტი ვარ, დიმა ვარ, ჯაიანი! გნებავთ, ტრაბახში ჩამითვალეთ, ღირსეული კანდიდატი ვარ და მე კი არა, თავად ისინი უნდა ხარობდნენ, რომ ამ პოსტზე მოვედი! სხვა პრეტენდენტი არავინ ყოფილა და არც იქნებოდა!

— **რატომ, უალტერნატივო ხართ?**

— ჩემზე უკეთესი კანდიდატი არ მეგულება!

— **პოლიტიკურ ორომტრიალში რომ ხართ ჩაბმული და „ოცნების“ მხარდამჭერ პოზიციას ღიად აფიქსირებთ, ასე გააგრძელებთ?**

— სამწუხაროდ, ამაში მონაწილეობას ველარ მივიღებ და გული მწყდება. თავისუფალი კაცი ვარ, ვიცი, რა არის თავისუფლება, ფრთებს რომ მიკვეცდა, იმიტომ არ ვიყავი სააკაშვილთან, თორემ ძალიან ახლოს ვიცნობ. ერთხელ მოგიყვებით, როგორ შემომთავაზა სააკაშვილმა მასთან, მცხეთის სალობიეში ჩავსულიყავი... ეს რომ გამეკეთებინა, მილიონერი კი ვიქნებოდი, მაგრამ სააკაშვილის უკანა ტანში აღმოვჩნდებოდი! ამაზე მერე ვილაპარაკოთ...

ყველაფერზე მივდიოდით, თავს ვიკლავდით, მაგრამ სააკაშვილთან ვერაფერს გავხდით და რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ამ საქმეს ვერც მოვიგებდით, ამიტომ ადამიანი უმადური არ უნდა იყოს. ყველაზე დიდი სენი უმადურობაა! დღეს საქართველოში ერთ კაცსაც არ აქვს უფლება, იკითხოს, რა უნდა ამ ივანიშვილსო. თავად ჩვენ რა გვინდა?! თვითონ იცის, რაც უნდა და მივესალმები მის წასვლას, აღფრთოვანებული ვარ მისი ამ გადაწყვეტილებით, რადგან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი პიროვნებაა და სკამს არ ჩაეჭიდა!

## ვერსიანიუსი

### „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წლის ბიუჯეტი დახარჯა და დარჩენილ კვარტალში ფინანსური პრობლემა აქვს“



ამის შესახებ ჟურნალისტებს მედიაექსპერტმა ზვიად ქორიძემ განუცხადა, რომელიც სამეურვეო საბჭოს სხდომის მიმდინარეობას თვალს ადევნებდა.

**„სამეურვეო საბჭომ არაკვალიფიციური სამაუწყებლო ბადე მიიღო. საკითხი ასე დგას — საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი დამატებითი ფულის სესხებას ითხოვს. მათ ის ბიუჯეტი დახარჯეს, რაც 2013 წლისთვის იყო განსაზღვრული, დარჩენილ კვარტალში, ეტყობა, სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ. ამის მონიტორინგი უახლოეს მომავალში უნდა განვახორციელოთ და ვნახოთ, რა რაოდენობის თანხა აკლდება საზოგადოებრივ მაუწყებელს. როგორც ვიცი, საუბარია დაახლოებით, 4 მილიონ ლარზე, რომელიც ტელევიზიამ უნდა ისესხოს და ვფიქრობ, სამეურვეო საბჭომ ეს პასუხისმგებლობა ახლა არ უნდა აიღოს. მით უმეტეს, 2014 წლის დასაწყისში მას უფლებამოსილების ვადა გასდის“,** — განაცხადა ქორიძემ.

*„პირველი“*

### პატრიარქის ნათლულები ერთმანეთს ინტერნეტით გაიცნობენ



პატრიარქის ნათლულები ერთმანეთთან დაკავშირებას ამიერიდან, ინტერნეტის საშუალებითაც შეძლებენ. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, წარმოიშვა იდეა, რომ შეიქმნას ვებ-გვერდი, რომელიც ყველას ეცოდინება და სადაც მისი ნათლულები ერთმანეთს გაიცნობენ. უწმინდესის თქმით, გაჭირვების შემთხვევაში, მისი ნათლულები ამ საიტზე თავიანთი გასაჭირის დაწერასაც შეძლებენ, სხვა ნათლულების მშობლები კი მათ დაეხმარებიან.

**„ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ინება მათი დაბადება და ცხოვრება. ჩვენი ნათლობისას ინათლებიან ის ბავშვები, რომლებიც არ უნდა დაბადებულიყვნენ. ღმერთმა მისცა მათ სიცოცხლე, რათა ემსახურონ უფალს, სამშობლოს, ოჯახს და მოყვასსა თვისსა“,** — ბრძანა უწმინდესმა და უფალს ამ წყალობისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორც პატრიარქმა ქადაგებისას აღნიშნა, საკვირაო წირვაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციაც მონაწილეობდა. ილია მეორემ მთავარეპისკოპოსებს — იონათამსა და ალაპიტს საქართველოში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა და საქართველო-უკრაინის თბილ ურთიერთობაზე ისაუბრა.

უწმინდესმა ქართველი და უკრაინელი ერი დალოცა და აღნიშნა, რომ უკრაინა უძველესი კულტურის ქვეყანაა, რასაც საქართველო ძალიან აფასებს. **„განსაკუთრებით, ვაფასებთ მათ სიმტკიცეს მართლმადიდებელ სარწმუნოებაში“,** — ბრძანა უწმინდესმა და სტუმრებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები უსახსოვრა. მამობრივი სითბოსა და მზრუნველობისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მადლობა გადაუხადა მთავარეპისკოპოსმა იონათამმა. მისი თქმით, უკრაინის მართლმადიდებელი დელეგაციის რამდენიმე წევრი საქართველოში პირველად იმყოფება და წარუშლელი შთაბეჭდილებები მიიღო. **„საქართველოში ძალიან უყვართ ღვთისმშობელი. ღმერთმა მოგცეთ ღვთისმშობლის მფარველობა. უკრაინა ყოველთვის საქართველოს გვერდით იქნება“,** — აღნიშნა მთავარეპისკოპოსმა და ილია მეორეს საჩუქრად სმოლენსკში დაწერილი ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# მაია ფანჯიკიძის დიპლომატიური შეცდომა და საქართველოს სირიული დილემა




მერაბ ბერიძე, 599-45-50-26

**„რუსები იმაზე მეტს იმსახურებენ, ვიდრე პუტინია“, — ასე ჰქვია ჯონ მაკკეინის ღია წერილს, რომელიც რუსულ გამოცემა „პრავდაში“ გამოქვეყნდა. როგორც ამერიკელი სენატორი აღნიშნავს, პრეზიდენტ პუტინს არ სწამს რუსი ხალხისა და მისი თავისუფლებისა. სენატორს, როგორც თვითონ ამბობს, სჯერა რუსი ხალხის სიდიადისა და მისწრაფებისა, იცხოვროს სამართლიან საზოგადოებაში.**

**„როდესაც თქვენს ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ვარ განწყობილი, არამედ იმიტომ, რომ იმსახურებთ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გენდობათ, პატივს გცემთ და ანგარიშვალდებული იქნება თქვენს წინაშე. ვიმედოვნებ, ვნახავ იმ დღეს, როცა ეს მოხდება. ნება მიბოძეთ, განგიმარტოთ, რომ არ ვარ ანტირუსულად განწყობილი. პირიქით, პრორუსული ვარ და თან იმაზე მეტად, ვიდრე ის რეჟიმი, რომელიც გმართავთ. მჯერა, იმსახურებთ, გაიუმჯობესოთ ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა ყვავის და კეთილდღეობას ქმნის ყველასთვის და არა — მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. თქვენ უნდა ცხოვრობდეთ სამართლიან სახელმწიფოში, სადაც მოქმედი კანონი ნათელი, სამართლიანია და თანმიმდერულად, ობიექტურად გამოიყენება,“ — წერს ჯონ მაკკეინი და იქვე აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტსა და მის გარემოცვას არ სწამს ისეთი ფასეულობების, როგორიც ადამიანის უფლებები, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვაა.**

**„პრეზიდენტი პუტინი და მისი გარემოცვა პატივს არ სცემენ თქვენს ღირსებას და არ აღიარებენ თქვენს ძალაუფლებას მათზე. ისინი სჯიან და აპატიმრებენ ოპონენტებს, მანიპულირებენ თქვენი არჩევანით, აკონტროლებენ თქვენს საინფორმაციო საშუალებებს, დევნიან, ემუქრებიან და უკრძალავენ მუშაობას ორგანიზაციებს, რომლებიც თქვენს უფლებებს იცავენ. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელს უწყობენ კორუფციას თქვენსავე სასამართლოებსა და ეკონომიკაში, ატერორებენ და ხოცავენ ჟურნალისტებს, რომლებიც ცდილობენ, ამხილონ მათი კორუმპირებულობა, — წერს ამერიკელი სენატორი, — პუტინი არ ამაღლებს რუსეთის რეპუტაციას მსოფლიოში, ის ანადგურებს მას. პუტინმა რუსეთი ტირანებისა და გამნადგურებლების მეგობრად აქცია. პუტინს არ ენდობიან ისინი, ვინც ისწრაფვის, რომ ჩვენი პლანეტა უფრო უსაფრთხო და მშვიდობიანი გახდეს. პუტინს კი არ სჯერა ამ ფასეულობების, რადგან მას არ სწამს თქვენი. არ სწამს, რომ თავისუფლება ადამიანის ბუნებას თავის სისუსტეებზე მაღლა აყენებს და შეუძლია სამართლიანი, მშვიდობიანი და აყვავებული საზოგადოების შექმნა, ამიტომ ის კორუფციით, რეპრესიებითა და ძალადობით მართავს სახელმწიფოს და მართავს მას თავისთვის და არა თქვენთვის“.**

**ჯონ მაკკეინის წერილი ერთგვარი გამოხმაურებაა 11 სექტემბერს, „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ ვლადიმერ პუტინის საავტორო წერილზე, სადაც მან ამერიკელ ხალხს მიმართა, ბარაკ ობამას გადაწყვეტილების — სირიაში სამხედრო ინტერვენციის თაობაზე.**

**„საგანგაშოა, რომ უცხო ქვეყნის კონფლიქტში ჩარევა სამხედრო გზით აშშ-სთვის ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ჩნდება კითხვა – შედის თუ არა ეს აშშ-ს გრძელვადიან ინტერესებში? — ვეჭვობ. პლანეტაზე მილიონობით ადამიანისთვის აშშ სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც დემოკრატიის მოდელი, არამედ როგორც მოთამაშე, რომელიც ფსონს უხეში ძალის გამოყენებაზე დებს და მოქმედებს ლოზუნგით — „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგაა“, — წერს ზემოხსენებულ წერილში რუსეთის პრეზიდენტი და აშშ-ს ხელისუფლებას მოუწოდებს, კონფლიქტის პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოგვარებაზე დაფიქრდეს.**

**აშშ-რუსეთის ურთიერთობების ბოლო პერიპეტიებსა და ამ ორომტრიალში საქართველოს როლზე „ვერსია“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრება.**

**— ბატონო სოსო, ბოლო უსტარებიდან გამომდინარე, რა ხდება ორი ზესახელმწიფოს ურთიერთობაში, ძველ დროს ხომ არ ვუბრუნდებით?**

— როგორც ჩანს, პუტინის წერილი ფასიანი იყო — „ნიუ იორკ თაიმსის“ რედაქციას მადლობა გადაუხადა, რომ ტექსტი კომენტარების გარეშე, სრულად დაბეჭდა. პუტინი შეეცადა, ამერიკელებისთვის, სირიასთან დაკავშირებით, რუსეთის პოზიცია აეხსნა. რუსეთს, ფორმალურად, ძლიერი პოზიცია აქვს, როცა ამბობს, ომი არ მინდაო — ომი არავის უნდა, თანაც ობამაც კმაყოფილია, რადგან პუტინი დაეხმარა, სახე შეენარჩუნებინა და მისაღები გამოსავალი შესთავაზა, წავართვათ ასადს ქიმიური იარაღი, გამოძიება კი გაგრძელდესო. მოსკოვმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ვიდეოები გადასცა, სადაც ჩანს, რომ ქიმიური იარაღი ბოევიკებმა გამოიყენეს, ამერიკელებს კი აქვთ ვიდეო, რომელიც ამტკიცებს, ქიმიური იარაღი ასადმა გამოიყენა, მაგრამ ასადი ამბობს, როგორ შეიძლება, ვიდეოკამერით გადაღებული მასალებიდან დასკვნა გამოიტანოთ, მოდით და მდგომარეობა ადგილზე შეამოწმეთო. მოკლედ, ფორმალურად, ასადსაც და პუტინსაც ძლიერი პოზიციები აქვთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის არსებული წინააღმდეგობები გაქრა. რუსეთმა მთავარ მიზანს მიაღწია — მსოფლიოს დაანახა, რომ მისი იგნორირებით ერთი პრობლემაც არ გადაწყდება, რადგან სამხედრო ძალა აქვს... ვალდაის შეხვედრაზე, პუტინი, უბრალოდ, თავისი დიპლომატიური გამარჯვების ტრიუმფს იმკიდა. მხიარულ განწყობაზე იყო და ნიშნისმოგებით საუბრობდა. მაკკეინიც კი ისე არ გამოლანძღა, როგორც ადრე აკეთებდა...

**— სირიასთან დაკავშირებული ბოლო პოზიციებით, რუსეთმა მაინც რას მიაღწია?**

— რუსეთმა, სირიის ეპოპეით, ლიბიაზე, ერაყზე, ეგვიპტესა და მთელ არაბულ გაზაფხულზე რევანში აიღო. ეს საკითხი გაერო-ში გადავა, დაიწყება განხილვები და კერი-ლავროვის ექვსპუნქტიანი შეთანხმება ნელ-ნელა ძალაში შევა. როგორც ჩანს, რუსეთმა ასადი დააჯერა, რა ჯანდაბად გინდა ქიმიური იარაღი, მოიშორე და სამაგიეროდ, დარჩენის გარანტიას გაძლევო. მოკლედ, ყველა კმაყოფილია, სირიის ოპოზიციის გარდა, რომელიც აცხადებს, კერი-ლავროვის შეთანხმება საერთოდ არ მეხებაო. რატომაა სირიის ოპოზიცია დიდ გულზე? — ფულს ამერიკელები ან ფრანგები კი არ აძლევენ, არამედ — ყატარი, საუდის არაბეთი და კუვეიტი...

*დასასრული მე-10 გვერდზე*



## სამართალდამცავებმა ორი ძებნილი დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული გიორგი ბ. და 1987 წელს დაბადებული პეტრე ს. თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურთან დააკავეს.

აღნიშნული პირები თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს მიერ 2012 წლის 20 ივლისიდან ორი მოქალაქის დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის სსსკ-ს 19-109 მუხლით იძებნებოდნენ.

2012 წელს სასამართლომ გიორგი ბ-ს დაუსწრებლად 12 წელი, ხოლო პეტრე ს-ს 13 წელი მიუსაჯა.

ამჟამად დაკავებულები სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში იმყოფებიან.

*„ვერსიანიუსი“*



## ირაკლი ღარიბაშვილმა ყატარის შსს-ს დელეგაციას უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყატარის შს სამინისტროს დელეგაცია მიიღო. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს შსს-ში განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებსა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს შსს-ს აკადემიის გამოცდილების გაზიარება სამართალდამცავ სფეროში განათლებისა და ტრენინგების კუთხით. ყატარის დელეგაციას ასევე სურს, მიიღოს ინფორმაცია საქართველოს საპატრულო პოლიციის საქმიანობისა და პატრულირების ორგანიზების შესახებ.

გარდა ამისა, ყატარის მხარის ინტერესის სფეროს წარმოადგენს გამოცდილების გაზიარება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის ფარგლებში იგეგმება ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და სსიპ საქართველოს შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებთან შეხვედრა.

ყატარის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი 21 სექტემბერს დასრულდება.

*„ვერსიანიუსი“*



## ანაკლიის „მომავლის ბანაკი“ ოფიციალურად დაიხურა

დახურვის ცერემონიალს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ანაკლიის მომავლის ბანაკი 20 ივლისს გაიხსნა და მას 14-დან 18 წლამდე მოზარდებისგან დაკომპლექტებული 7 ნაკადი სტუმრობდა. ჯამში, დასვენება 2000-ზე მეტმა მოზარდმა შეძლო, მათ შორის, უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა და 2008 წლის აგვისტოს ომსა და ISAF-ის ოპერაციაში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებმა. პროექტში ჩართულმა მოზარდებმა გაიარეს კურსები ადამიანის უფლებების, ბავშვთა უფლებების, ეკოლოგიის, ჰიგიენის, ტოლერანტობის, არჩევნებისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.

*„პირველი“*

# პროფესიულ კოლეჯებში ჩაბარების წესი იცვლება

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის თქმით, „2013-2014 სასწავლო წლიდან პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტების სწავლა სახელმწიფოს მხრიდან სრულად დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ოქტომბერში დანიშნულ ტესტირებაზე ისინი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს გადალახავენ“. მთავრობამ დაფინანსების წესის შესახებ გადაწყვეტილება, კანონის შესაბამისად, ამ დღეებში მიიღო. მინისტრის განმარტებითვე, აქამდე ვაუჩერის სისტემა მუშაობდა, რომელიც ერთ სტუდენტზე 1000 ლარის გამოყოფას ითვალისწინებდა.**
**„ეს არასაკმარისი იყო, რადგან ხშირად, მხოლოდ პირველი და მეორე საფეხურის დაფინანსებას ჰყოფნიდა მაშინ, როცა სწავლა ხუთსაფეხურიანია“, — განმარტავს სანიკიძე. საერთოდ, საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სულ 14 პროფესიული სასწავლებელია; ამასთან, რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს პროფესიული პროგრამა, რომელიც ასევე დაფინანსდება. რა შედეგებს მოიტანს პროფგანათლების დაფინანსების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება? — „ვერსია“ პროფესიული განათლების საკითხებში ექსპერტს, დენის დავითაშვილს ესაუბრა.**



— როგორც მახსოვს, 1969 წლიდან საჯარო პროფესიულ განათლებას ყოველთვის სახელმწიფო აფინანსებს, წელს კი კანონმა პროფესიული ტესტირების ცნება შემოიღო — ისწავლის ის, ვინც ტესტირებას გაივლის. ამ ტესტების შინაარსს, დანიშნულებასა და წარმომავლობას ვაპროტესტებდით. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, პროფესიული განათლების სისტემაში ტესტირება არ ტარდება. მოსალოდნელია, რომ ბევრი ახალგაზრდა ტესტირებას ვერ გაივლის — მინიმალურ ქულებს ვერ დააგროვებს და პროფესიული განათლების სისტემაში უფასოდ ვერ ჩაირიცხება ან ზოგიერთ სპეციალობაზე საკმაო რაოდენობის მსურველი თუ იქნება, ოც ბავშვზე მეტი არ დაფინანსდება, დანარჩენებს კი ფულის გადახდას შესთავაზებენ.

**— ასეთი სურათი სადამდე მიგვიყვანს?**

— მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და ასეთი ოჯახები შვილების სახელმწიფო კოლეჯებში სწავლას ვერ დააფინანსებენ, რაც სრული ფიასკო იქნება. ვიმეორებ: სიახლე არაა, რომ წელს უფასო პროფესიული განათლება გვექნება, ეს ყოველთვის ასე იყო. როცა ახალი მინისტრები მოდიან, ყველა ამბობს, ეს სიახლე მე შემოვიტანე და სწავლა უფასო იქნებაო. დიდი მადლობა, მაგრამ სწავლა უფასო უნდა იყოს ყველა ახალგაზრდისთვის, ვინც საჯარო კოლეჯში შევა და სწავლის გაგრძელებას მოინდომებს.

ამიტომ აბსოლუტურად მიუღებელია დაფინანსების წესი, რაც მთავრობამ დაადგინა და მიიღო. მთავრობასაც და განათლების სამინისტროსაც შენიშვნები მივაწოდეთ, რაც, სამწუხაროდ, რეაგირების გარეშე დარჩა. პროექტი, რომელიც განათლების სამინისტროს ვაიექსპერტებმა შეიმუშავეს, კრიტიკას ვერ უძლებს. ეს პროექტი უცოდინარი ხალხის მიერაა მომზადებული და მთავრობამ ის, რაც განათლების სამინისტრომ წარუდგინა, დაამტკიცა...

**— მინიმალური კომპეტენციის გადალახვის კუთხით, პროფესიულ კოლეჯებში რა მდგომარეობაა?**

— კოლეჯებში ბავშვები ცხრა კლასის შემდეგ მოდიან და რა განათლებასაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იღებენ, ის დონე აქვთ ანუ პროფესიულ კოლეჯებში ყველაზე წარჩინებული ბავშვები არ მოდიან. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ტესტები კი აბსოლუტურად არ შეესაბამება შესაძლო სპეციალობებსა და ცოდნას. რა იცის ახალგაზრდამ წინასწარ რომელიმე სპეციალობაზე? კოლეჯში სწორედ იმიტომ მოდის, რომ სპეციალობა შეისწავლოს და ამ დროს ეკითხებიან, რომელიმე ხელობაში კომპეტენცია თუ გაქვსო. მართლაც, ანეკდოტური ვითარებაა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— წელს პროფესიულ კოლეჯებში დაუკომპლექტებელი ჯგუფები დაგვრჩება. სამინისტრო, მთავრობა და პარლამენტიც იძულებული გახდება, შესაბამისი ცვლილებები მიიღოს — დაბრუნდეს პრაქტიკა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია — არავითარი ტესტირება პროფესიულ განათლებაში. პროფესიულ განათლებაში მხოლოდ ერთი მოთხოვნაა: თუ ახალგაზრდას სურს, ისეთი ბაზა და შესაძლებლობები უნდა შეუქმნა კოლეჯში, რომ შეისწავლოს ხელობა, რომელიც ცხოვრებაში გამოადგება!



# მაია ფანჯიკიძის დიპლომატიური შეცდომა და საქართველოს სირიული დილემა

*მე-9 გვერდიდან*

ამიტომ ამერიკელებმა და ევროპელებმა რაც უნდა ილაპარაკონ, სამოქალაქო ომი მაინც გაგრძელდება, მაგრამ დიდი შანსია, რომ ოპოზიციას ასადის არმია დაამარცხებს და ქვეყნიდან გაყრის. იქნება ტერორისტული აქტებიც — ამას არაბულ სამყაროში რა გამოლევს, მით უმეტეს, იქ „ალ-ყაიდას“ ფესვები ღრმად აქვს გადგმული. ნებისმიერ შემთხვევაში, ასადი დარჩა და რუსეთის სამხედრო ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველად გამოჩნდა, რაც მოსკოვის სერიოზული დიპლომატიური გამარჯვებაა. მოკლედ, ესაა ამ ამბავის ანატომია.

**— მთელ ორომტრიალში ოფიციალურმა თბილისმა რა პოზიცია უნდა დაიკავოს?**

— ქართულმა მხარემ პოზიცია უკვე დაიკავა, როცა ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იგნორირება გაუკეთა გაერო-ს გენერალური მდივნის განცხადებას, ყველამ თავი შეიკავეთო. ჩვენმა საგარეო უწყებამ მკვეთრი განცხადება გააკეთა, ასადი დამნაშავეა და უნდა გასამართლდეს, რადგან ქიმიური იარაღი გამოიყენაო. ამ დროს, არაფერი იყო დამტკიცებული. ეს შეიძლება, რომელიმე პუბლიცისტმა, რიგითმა ადამიანმა თქვას, მაგრამ ნომერი პირველი დიპლომატის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადება, საქართველოს სახელმწიფოს პოზიციაა. სხვათა შორის, ფანჯიკიძემ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ირაკლი ალასანია ამერიკიდან დაბრუნდა. ეს ის დღეებია, როცა პრეზიდენტ ობამას სირიაზე დარტყმა გადაწყვეტილი ჰქონდა და ქართულმა მხარემ გამარჯვებულთა გვერდით დგომა გადაწყვიტა, მაგრამ ეს ნაადრევი გამოდგა — აშშ-ში ვითარება უცებ შეიცვალა. ობამა სხვა ხმაზე ალაპარაკდა, ევროპელებიც ჩაჩუმდნენ: არც საფრანგეთის პრეზიდენტი აკეთებს განცხადებას და არც — ინგლისის პრემიერი. ობამა კმაყოფილია, ომის მოყვარული არ ვარ და მირჩევნია, საკითხი დიპლომატიურად გადაწყდესო. გამოვიდა, რომ ომის მოყვარული მხოლოდ საქართველოა.

**— სირიის ფრონტზე რუსეთის ერთგვარი წარმატების ფონზე, მოსკოვთან ურთიერთობაში საქართველოს პრობლემები ხომ არ მოემატება?**

— ერთი მხრივ, რუსები გვპირდებიან, ერთი კატეგორიის ხალხს ვიზებს გავუმარტივებთო და ეს ნორმალურია: არც საჩუქარია და არც განსაკუთრებული გარღვევა; მეორე მხრივ, ყოველდღე ე.წ. საზღვარი წინ მოიწევს, ლამის გორთან მოგვადგნენ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ყველაფერს ოსები აკეთებენ და რუსები არაფერ შუაში არიან, ან სულელია, ან დემაგოგი და მატყუარა!



ამავე დროს, რუსები მიგვანიშნებენ, პოლიტიკურად გაბედული ნაბიჯი უნდა გადადგათო. რა არის ეს ნაბიჯი? — ალბათ, ივანიშვილი-პუტინის უმაღლეს დონეზე შეხვედრა. პუტინი არაფერს ამბობს, ივანიშვილის თქმით კი, ასეთი შეხვედრა ნაადრევია და აზრი არ აქვს. ამ დროს, პუტინს არ უთქვამს, არ შევხვდებიო. მოსკოვი, ეტყობა, მიიჩნევს, რომ დადგა უმაღლეს დონეზე შეხვედრის დრო, სადაც საუბარი კომპრომისებზე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ამისთვის მზად არაა. როგორც ჩანს, არჩევნებამდე არაფერი მოხდება, არჩევნების შემდეგ კი, სააკაშვილი სულ რომ წავა, თუ თბილისსა და მოსკოვს რამე სასიკეთო აქვთ ჩაფიქრებული, ალბათ, ნაბიჯები გადაიდგმება.

არის კიდევ ერთი საკითხი: რუსეთი მზადაა, სოჭის ოლიმპიადაზე აფხაზები და ოსები ცალკე დელეგაციად დაუშვას, როგორც ამბობენ, ჩვენში ჯერ კიდევ მზადდება საპროტესტო ნოტა, ამ დროს კი, აზერბაიჯანმა უკვე განაცხადა, თუ აფხაზები და ოსები იქნებიან, ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მივიღებო. ეს განცხადება ბაქომ ქართველების დაცვის მიზნით კი არა, იმის გამო გააკეთა, რომ შემდეგ ოლიმპიადაზე მონაწილეობა მთიან ყარაბაღს არ მიაღებინონ. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია კი ჯერ გაურკვეველია. როგორი შესახედი იქნება — ტატამზე ერთმანეთს ქართველი და ოსი შეხვდენ და საქართველოს და ცხინვალის დროშა ერთად ფრიალებდეს... მოკლედ, ჩვენი და რუსეთის სამომავლო ურთიერთობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული.




## საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაცია ეწვევა

დელეგაცია ქვეყანაში 23 სექტემბერს ჩამოვა, ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები კი 24 სექტემბრიდან გაიმართება. წინასაარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ევროსაბჭოდან თბილისში დეპუტატები: მერიქსელ მატეუ პი, ანდრეს ჰერკელი, ჯონ ტომლინსონი, კრისტოფერ ჩოპე, ვასილი ლიხაჩევი და ბორის სილევიჩი ჩამოდიან. ისინი, თავდაპირველად, საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს კატერინა ბოლონეზეს შეხვდებიან. შემდგომ გაიმართება შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მედიასთან, დიპლომატიურ კორპუსთან და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ მატეო მეკაჩისთან. 24 სექტემბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდება. ხოლო 25 სექტემბერს დაგეგმილია შეხვედრები საპრეზიდენტო კანდიდატებთან: დავით ბაქრაძესთან, ნინო ბურჯანაძესთან, გიორგი მარგველაშვილთან, შალვა ნათელაშვილთან და გიორგი თარგამაძესთან. იმავე დღეს დელეგაცია შეხვედრას გამართავს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ასევე, შეხვდება უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასა და იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაცია ვიზიტის დასასრულს შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# საკეისრო კვეთით კლინიკები მშობიარეებს ფულს სძალავენ?!

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**„საკეისრო კვეთის პროცენტული რაოდენობა წარმოუდგენელ, ალოგიკურ ზღვარზეა ასული... ნებისმიერ მიმართულებას, მათ შორის — მშობიარობას სჭირდება სამედიცინო ხარისხის კონტროლი“, — აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, რომელიც მალე, საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით, ახალ ბრძანებას გამოსცემს ანუ დამტკიცდება საკეისრო კვეთის ეროვნული პროტოკოლი, რომელიც განსაზღვრავს, რა სამედიცინო ჩვენებების დროს უნდა გაკეთდეს საკეისრო კვეთა, აღნიშნული რეგულაციების შესრულება კი სამედიცინო სახლებისთვის სავალდებულო იქნება. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციითვე, საერთო მშობიარობის 38% საკეისრო კვეთაზე მოდის. არსებულ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ ხელმძღვანელს, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრს, მარინა ბერაძეს ესაუბრება.**



**— ქალბატონო მარინა, საქართველოში საკეისრო კვეთის ასეთი ზღვარგადასული მატება რით აიხსნება?**

— მშობიარობა სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული. ჩვეულებრივ მშობიარობასთან შედარებით, საკეისრო კვეთის თვითღირებულება მაღალია, რადგან საკეისრო გართულებულ მშობიარობად მიიჩნევა. შეიძლება, კლინიკების, ექიმების მხრიდან იყოს ცდუნება, თავიანთი საქმიანობა უფრო შემოსავლიანი გახადონ — ეს ერთი მიზეზია.

მეორე მიზეზი ისაა, რომ საკეისრო კვეთის მხრივ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე დაბალია. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ ეს მანიპულაცია უკეთესია, არადა, სამედიცინო თვალსაზრისით, შორეულ პერსპექტივაში გარკვეულ გართულებებს იწვევს, ამიტომ ეს ნაბიჯი მიზანშეწონილი არაა, თუ ზუსტი ჩვენება არ გვაქვს, რომ აუცილებლად საკეისრო კვეთა გაკეთდეს.

საკეისრო კვეთაზე კონტროლის გამკაცრება, ჩემი აზრით, ცუდი არაა. ფიზიოლოგიური მშობიარობა უფრო სტიმულირებული უნდა იყოს, ვიდრე — საკეისრო, თან ეს აბსოლუტური შეზღუდვა არაა ანუ თუ პაციენტს მშობიარობა საკეისრო კვეთით უნდა და ამას წერილობით დაადასტურებს, ექიმს პასუხისმგებლობა ეხსნება, სხვა შემთხვევაში კი, ეს პერსონალის მხრიდან არამართლზომიერ და არაოპტიმალურ გადაწყვეტილებად ჩაითვლება. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მთავარი ამოცანა ყველა პროცედურის ოპტიმალურობა და ხარჯთეფექტურობაა. ოპტიმალურობა იმას ნიშნავს, რომ სამედიცინო მანიპულაცია არც იმაზე მეტი უნდა იყოს, რაც პაციენტს კონკრეტულად სჭირდება და არც ნაკლები. საერთოდ, ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხარისხი ძალიან დაბალია და ეს რეგულაცია ხარისხის ამაღლებისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია.

**— ამბობთ, საკეისრო კვეთის მატება, შესაძლოა, ხარჯების ხელოვნურ გაზრდას უკავშირდებოდეს. სამედიცინო კლინიკებში მოიძებნება მედპერსონალი, რომელიც ამ ნაბიჯზე წავა?**

— რამდენიმე წელია, მედიცინა ჩვენთან ბიზნესად გადაიქცა და კლინიკისთვის ეს შემოსავლის წყაროა, ამიტომაც ცდილობენ, ერთი პაციენტიდან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღონ და არ ფიქრობენ, ესა თუ ის მანიპულაცია რამდენად მიზანშეწონილია. თუ ამას არ ვაღიარებთ, შეცდომებსაც ვერ გამოვასწორებთ.

**— პაციენტის მიმართ ასეთი მტაცებლური დამოკიდებულება ჰიპოკრატეს ფიცს ხომ ეწინააღმდეგება?**

— რა თქმა უნდა... ამიტომ ისეთი რეფორმაა გასატარებელი, რომელიც ეთიკურ საკითხებს წამოწევს და ექიმის მორალურ სახეს უფრო მაღალ თამასას დაუწესებს. სწორედ ასეთმა პროცესებმა დაუკარგა პაციენტს ექიმის რწმენა; თავის მხრივ კი, ექიმების მუშაობის ასეთი სტილი იმ დანაშაულებრივმა რეფორმებმა განაპირობა, რაც წინა წლებში ტარდებოდა.

**— როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი, სად არის ზღვარი კერძო ბიზნესსა და სახელმწიფო რეგულაციებს შორის?**

— საერთოდ, ეს რთული თემაა და კომპლექსური მიდგომაა საჭირო. ესკულაპი იმაზე კი არ უნდა იყოს მოტივირებული, პაციენტს რაც შეიძლება მეტი გადაახდევინოს, არამედ, მისი მუშაობა ხარისხიანი უნდა იყოს, რომ გარკვეული სტიმული და სარგებელი მიიღოს.

საერთოდ, სამედიცინო მომსახურების დონე რომ გაუმჯობესდეს, თითოეულ კლინიკაში ხარისხის კონტროლის სისტემა უნდა არსებობდეს. სამინისტროს ფუნქციაა, კლინიკებს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს, რათა ხარისხის უზრუნველმყოფი სისტემა დანერგონ. აი, მაშინ, ნებისმიერი ექიმი ჩარჩოში მოექცევა და მისი სამსახური გაცილებით მაღალკვალიფიციური გახდება.

ახალი რეგულაციები დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ მთლიანობაში, სამედიცინო ხარისხის ამაღლებისთვის არასაკმარისია, თან ექიმების ქმედებებისკენ მიმართული ღონისძიებები და პაციენტების ინფორმირებულობა სრულ თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ანუ პაციენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კონკრეტული მანიპულაცია მის სასიკეთოდ კეთდება და არ უნდა იფიქროს, რომ ამით მისი უფლება იზღუდება... სერგეენკო წარმატებული ექიმია და იცის ეთიკის ნორმები, რომლითაც ნამდვილი ექიმი უნდა ხელმძღვანელობდეს. თუ ბრძანებაში სწორედ ეს ხაზი იქნება გატარებული, საქმეს ნამდვილად წაადგება, მაგრამ ვიმეორებ, ეს საკმარისი არაა და სამინისტროს გაცილებით მასშტაბური სამუშაო აქვს ჩასატარებელი.



## მანანა მანჯგალაძე: „პუტინს თვითმფრინავზე წარწერა „სოხუმი“ აღიზიანებდა!“

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე თვითმფრინავზე, რომლითაც პრემიერი დაფრინავს, წარწერა „სოხუმის“ გაქრობას ვლადიმერ პუტინის სურვილს უკავშირებს.

**„დღეს მთავრობას გაცილებით მეტი უჯდება კომერციული რეისების დაქირავება, ვიდრე ეს ჯდებოდა მაშინ, როდესაც თვითმფრინავი მთავრობის განკარგულებაში იყო და ძალიან ინტენსიურადაც გამოიყენებოდა. ეს პირდაპირი შედეგია პოპულიზმისა და გაუაზრებელი გადაწყვეტილებებისა, რასაც ახალი მთავრობა იღებს. ასევე, მხოლოდ ძალიან მიამიტი ადამიანი თუ დაიჯერებს, რომ იმ თვითმფრინავის სახელის შეცვლა, რომლითაც პრემიერი დაფრინავს, გაიაშვილს ხელეწიფება. სხვათა შორის, კარგად ვიცით, როგორ აღიზიანებდა წარწერა „სოხუმი“ ვლადიმერ პუტინს და ძალიან სამწუხაროა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ოკუპანტის ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი გახდა“,** — აღნიშნა მანჯგალაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თვითმფრინავზე, რომლითაც იგი ოფიციალური ვიზიტების დროს სარგებლობდა და რომელიც მთავრობას გადასცა, წარწერა „სოხუმის“ გაქრობა გააპროტესტა.

ამასთან, ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ გაიაშვილი აცხადებს, რომ თვითმფრინავი, რომელზეც წარწერა „სოხუმის“ წაშლა პრეზიდენტმა გააპროტესტა, კომპანიის საკუთრებაშია და ის თავად გადაწყვეტს, ბორტს რა დააწეროს.

როგორც თამაზ გაიაშვილმა განაცხადა, თვითმფრინავზე წარწერა სიმბოლიკა არ არის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ეკონომიკის სამინისტროშიც გაკეთდა. მინისტრის მოადგილის, ნათია მიქელაძის განცხადებით, თვითმფრინავი სამინისტროს მფლობელობაში არ არის.

**„ეს შეგიძლიათ ავიაციის რეესტრით გადაამოწმოთ, იქ მესაკუთრედ ფიგურირებს „საქართველოს ბანკი“. ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას, როდის წაიშალა წარწერა. მესაკუთრეს, როგორც უნდა, ისე განკარგავს თავის თვითმფრინავს“,** — განაცხადა მიქელაძემ.

***„ინტერპრესნიუსი“***



## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბათუმში, 1962 წელს დაბადებული ალეკო ხ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბათუმში, დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 35,024 გრამი „ჰეროინი“ და 1,5 გრამი ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინის“ შემცველი 5 აბი „ლირიკა“ ამოიღეს.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ალეკო ხ. დაკავების მომენტში ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

***„ვერსიანიუსი“***

ვერსიანიუსი




## ყალბი ფულის დამამზადებლები დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული ლევან ვ. და 1962 წელს დაბადებული ომარ ხ. ყალბი ფულადი კუპიურების დამზადებისა და რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები სპეციალური ტექნიკური საშუალების გამოყენებით, გასაღების მიზნით, სხვადასხვა ნომინალის მქონე ყალბ ეროვნულ ვალუტას ამზადებდნენ და მის რეალიზაციას ახდენდნენ კომერციული სახის დაწესებულებებსა და კერძო პირებზე. დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა სარეალიზაციოდ გამზადებული ყალბი ეროვნული ვალუტა, 3 ფერადი ასლგადამღები სპეციალური დანადგარი და სხვა მოწყობილობები ამოიღეს.

გამოძიება ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადების ან გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

***„ვერსიანიუსი“***

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | 1 | | | 4 |
| 6 | | | | | 3 | 5 | 1 | |
| | | | 2 | | 9 | 8 | | |
| 1 | | 9 | | | 2 | | | |
| | 6 | | | | | | 2 | |
| | | | 4 | | | 7 | | 1 |
| | | 6 | 3 | | 4 | | | |
| | 2 | 4 | 1 | | | | | 3 |
| 7 | | | 9 | | | | | 6 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 7 | | | | | | 9 |
| | | | | | 6 | 8 | | |
| | | 4 | | 2 | | | 7 | 6 |
| | 6 | | | 3 | | | 1 | |
| | | | 1 | | 5 | | | |
| | 8 | | | 9 | | | 4 | |
| 3 | 7 | | | 1 | | 9 | | |
| | | 6 | 5 | | | | | |
| 2 | | | | | | 3 | | 4 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 | | 9 | 2 |
| | | 6 | | | 9 | 8 | | |
| | | | 8 | 3 | | | | 4 |
| | 1 | | | | | | 4 | 5 |
| | | 7 | | 2 | | 1 | | |
| 3 | 5 | | | | | | 6 | |
| 1 | | | | 7 | 3 | | | |
| | | 2 | 1 | | | 9 | | |
| 6 | 8 | | 9 | | | | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | 2 | | | 8 |
| 3 | | | | 6 | | | | |
| | 1 | 5 | | | | 7 | 2 | |
| 5 | | | | | 8 | | | |
| | | 3 | | | | 4 | | |
| | | | 5 | | | | | 9 |
| | 7 | 1 | | | | 2 | 3 | |
| | | | | 3 | | | | 1 |
| 4 | | | 1 | | | 9 | | |





# ანტინობელი დაარიგეს

შნობელის (ანტინობელის) ყოველწლიური პრემიები წელს 23-ედ გაიცა, საზეიმო ცერემონია კი ჰარვარდის უნივერსიტეტში შედგა. წელს პრემიები 10 ნომინაციაში დაარიგეს. ყველაზე ხმაურიანი სენსაცია მშვიდობის დარგში გაცემული შნობელი იყო, რომელიც ბელორუსის პრეზიდენტს, ალექსანდრ ლუკაშენკოსა და მის სამართალდამცავებს ერგოთ — პრეზიდენტს საჯარო აპლოდისმენტების აკრძალვისთვის, მილიციას კი ქალაქ გროდნოში ცალხელა ინვალიდის დაკავებისთვის, რომელიც საჯარო ადგილზე ტაშის დაკვრაში დაადანაშაულეს. მედიცინის დარგში შნობელი იაპონელმა სწავლულებმა მიიღეს, რომლებიც საოპერო მუსიკის გავლენას იკვლევდნენ მღრღნელებში. ფსიქოლოგიაში ლაურეატები ფრანგი და ამერიკელი მეცნიერები გახდნენ, რომელთაც ექსპერიმენტების მეშვეობით დაამტკიცეს, რომ ადამიანები, რომლებიც მთვრალები არიან, ამავდროულად, თავს მიმზიდველად მიიჩნევენ. იმის აღმოჩენამ, რომ ნაკელის ხოჭოები ღამით „ირმის ნახტომით“ გადაადგილდებიან, შვედ და სამხრეთ აფრიკელ მკვლევარებს ანტინობელი არგუნეს ბიოლოგიასა და ასტრონომიაში. პრემიით ფიზიკაში აღინიშნა იმის აღმოჩენა, რომ ფიზიკურად ადამიანებს შეუძლიათ იარონ წყლის ზედაპირზე, თუკი ექსპერიმენტებს მთვარეზე ან წყალსატევზე ჩაავტარებთ. აქ თავი იტალიელმა სწავლულებმა გამოიჩინეს. ქიმიაში იაპონელები დაჯილდოვდნენ. ბრიტანელმა მეცნიერებმა მიიღეს ანტინობელი ალბათობის თეორიაში ჩატარებული გამოკვლევისთვის. მათ ასეთი კანონზომიერება აღმოაჩინეს: ჯერ ერთი, თუ ძროხა წევს, უფრო მეტი შანსია, რომ ის მალე ფეხზე ადგება და მეორეც, როგორც კი ძროხა ადგება, წარმოუდგენელია იმის წინასწარმეტყველება, ისევ როდის დაწვება.

შნობელის ლაურეატებმა, პრიზის სახით, 10 ტრილიონი ზიმბაბვეური დოლარი მიიღეს ერთი კუპიურის სახით და ასევე ჩაქუჩი შუშის ყუთში. ტრადიციის მიხედვით, ანტინობელიანტებს ჯილდოს ნობელის პრემიის ლაურეატები გადასცემდნენ. შნობელის პრემია 1991 წელს ამერიკული ჟურნალის („გასაოცარი გამოკვლევების ანალები“) რედაქტორმა, მარკ აბრაჰამსმა დააწესა.

# ეკო-ფეხსაცმელი ბოსტნეულისგან

ესპანურმა მარკამ One Moment გადაწყვიტა, სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებლებს სერიოზული კონკურენცია გაუწიოს უნიკალური ეკოლოგიური მოდელით. ფეხსაცმლის დასამზადებლად ფირმამ ბოსტნეულისგან მიღებული ორგანული პოლიმერები გამოიყენა, მათი ქმნილება კი რეზინის კედებს ჰგავს და მოსავლელადაც ძალიან ადვილია — გაწმენდა სველი ტილოთი შეიძლება და სარეცხის მანქანაშიც ადვილად ირეცხება. მწარმოებელი ფირმა ირწმუნება, რომ ახალი სპორტული ფეხსაცმლის მფლობელს მისი მოხმარებისას მაქსიმალური კომფორტი გარანტირებული ექნება და იმედოვნებენ, რომ მალე კაცობრიობა ასეთი ეკო-ფეხსაცმლის მოხმარებაზე გადავა.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 2 | 4 | 7 | 1 | 6 | 9 | 3 |
| 9 | 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 1 | 2 | 4 |
| 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 3 | 6 | 8 | 9 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 |
| 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 | 2 |
| 5 | 2 | 9 | 7 | 1 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 7 | 1 | 5 | 6 | 4 | 9 | 2 | 3 | 8 |
| 2 | 9 | 4 | 1 | 3 | 8 | 5 | 6 | 7 |
| 6 | 8 | 3 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 | 9 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 5 | 2 | 3 | 4 | 9 | 8 | 7 |
| 4 | 9 | 7 | 1 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 8 | 3 | 2 | 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 1 |
| 9 | 1 | 8 | 4 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 |
| 6 | 7 | 4 | 3 | 2 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 2 | 5 | 3 | 8 | 6 | 1 | 7 | 9 | 4 |
| 7 | 4 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 4 | 3 | 6 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 7 | 9 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 2 | 8 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 4 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 |
| 6 | 5 | 3 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 8 |
| 3 | 8 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 | 6 | 1 |
| 2 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 8 | 7 | 9 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 9 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 3 | 9 | 4 |
| 5 | 3 | 1 | 4 | 9 | 8 | 6 | 2 | 7 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 5 | 8 | 6 | 9 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 3 | 1 | 8 | 5 | 9 | 2 | 6 | 4 | 7 |
| 6 | 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 3 | 5 | 2 |
| 2 | 5 | 4 | 7 | 6 | 3 | 1 | 8 | 9 |
| 4 | 7 | 5 | 3 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 |
| 8 | 6 | 2 | 1 | 7 | 5 | 9 | 3 | 4 |
| 9 | 3 | 1 | 2 | 4 | 6 | 8 | 7 | 5 |

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 4 | 5 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 7 | 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 4 | 5 | 1 | 3 | 9 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 7 | 8 | 6 | 9 |
| 4 | 9 | 8 | 2 | 6 | 5 | 7 | 1 | 3 |
| 1 | 7 | 6 | 9 | 8 | 3 | 4 | 5 | 2 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 3 | 7 | 1 | 4 | 8 | 9 | 2 | 6 |
| 8 | 2 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 1 | 4 |
| 1 | 9 | 4 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 3 |
| 6 | 7 | 3 | 9 | 2 | 4 | 8 | 5 | 1 |
| 4 | 8 | 1 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 | 9 |
| 2 | 5 | 9 | 6 | 8 | 1 | 3 | 4 | 7 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 7 | 9 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 5 |
| 5 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 1 |
| 4 | 8 | 6 | 2 | 9 | 1 | 5 | 3 | 7 |
| 7 | 3 | 2 | 5 | 6 | 8 | 4 | 1 | 9 |
| 9 | 1 | 5 | 7 | 3 | 4 | 6 | 2 | 8 |
| 3 | 5 | 1 | 4 | 8 | 6 | 7 | 9 | 2 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 7 | 9 | 1 | 5 | 6 |
| 6 | 7 | 9 | 1 | 5 | 2 | 3 | 8 | 4 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 6 | 5 |
| 1 | 4 | 8 | 9 | 6 | 5 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 5 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 |
| 2 | 1 | 7 | 6 | 9 | 4 | 8 | 5 | 3 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 7 | 9 |
| 8 | 2 | 4 | 5 | 7 | 9 | 3 | 1 | 6 |
| 6 | 9 | 1 | 8 | 4 | 3 | 5 | 2 | 7 |
| 5 | 7 | 3 | 1 | 2 | 6 | 9 | 8 | 4 |

მე-13 გვერდი: 1. რაფინირება; 2. ამაზასპი; 3. ეტიმოლოგია; 4. ფატა; 5. სეპარატიზმი; 6. ინდოსტანი; 7. ეკლექტიკა; 8. მეტრიკა; 9. ფრიდონი; 10. რომულუსი; 11. დელტა; 12. ზემფირა; 13. ორმო; 14. სურდო; 15. სექტა; 16. სელი; 17. მისია; 18. პრიმა; 19. საბონისი; 20. იაგო; 21. ატლასი; 22. იუანი; 23. თეტიდა; 24. დასი; 25. უიარაღო; 26. რა; 27. ტანგო; 28. მანე; 29. ბაგინეთი; 30. ბარდი; 31. ადრესი; 32. „სტიაუა“; 33. ამონალი; 34. ციკანი; 35. ლია; 36. მელოუნი; 37. როლგანგი; 38. რაცია; 39. სკა; 40. ნუკერი; 41. ნდოლა; 42. კალიარი; 43. რენდი; 44. ურა; 45. ინკასო; 46. აკვანი; 47. ბოკა; 48. ლაზანია; 49. ვექსელი; 50. „ქვინი“; 51. დაღი; 52. რაფა; 53. ავტარკია; 54. ოდალისკი; 55. ბრუნო; 56. რეა; 57. ქვილთი; 58. პარაგვაი; 59. ევა; 60. ონო; 61. იაფი; 62. ლეი; 63. ზაქი; 64. ოფი; 65. აბელი; 66. აგა; 67. არალი; 68. რაიანი; 69. სნობი; 70. ილია; 71. სვია; 72. კრიკი; 73. ეიფელი; 74. ნო; 75. მანდილი; 76. ნევა; 77. პკე; 78. ლუი; 79. ინტი; 80. აბა; 81. პი; 82. იოკაი.

მე-16 გვერდი: 1. კასტანიეტა; 2. აზავერი; 3. ადენი; 4. ანარა; 5. კვარტერონი; 6. ნუაქშოტი; 7. ევანგელე; 8. ადათი; 9. დრიბლინგი; 10. თომა; 11. ზადენი; 12. აქსიომა; 13. აგავა; 14. ვენერა; 15. ულიანოვი; 16. ინანთეული; 17. ამუდარია; 18. არული; 19. მანილა; 20. შაგრენი; 21. ევრო; 22. მისისიპი; 23. კინა; 24. დუნგა; 25. ტოლკიენი; 26. არა; 27. ია; 28. სი; 29. კარაქი; 30. ისიდა; 31. ტორიჩელი; 32. რეგენტი; 33. ჩიანელი; 34. ლაიოსი; 35. უხა; 36. ლეონე; 37. თინუსი; 38. ხერთვისი; 39. აპია; 40. ურვადი; 41. რეგლანი; 42.გენტი; 43. ონავარი; 44. ვილია; 45. რძე; 46. ნიკე; 47. ნართი; 48. ლა; 49. ლია; 50. ნონსენსი; 51. ლაიკა; 52. თვე; 53. ინა; 54. პაპი; 55. ფო; 56. რაი; 57. ფილიპ; 58. პან; 59. აკმე; 60. კანო; 61. ფია.






# 160 წლის კაცი აღმოაჩინეს

ეთიოპიის მცხოვრები დხაკა ება ირწმუნება, რომ 160 წლისაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას დოკუმენტით ვერ ამტკიცებს — ქვეყნის ამ მიყრუებულ ნაწილში დაბადების მოწმობის გაცემა მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყეს. მოხუც ფერმერს, რომელსაც არასოდეს უვლია სკოლაში და, შესაბამისად, ერთი წიგნიც კი არ წაუკითხავს, მშვენიერი მეხსიერება აქვს. როცა იტალიელების ჯარმა დაიკავა ჩვენი სოფელი, ჩემი უფროსი ვაჟი იმხელა იყო, რომ დამოუკიდებლად მწყემსავდა საქონელს, — ამბობს დღეგრძელი მოხუცი. ოკუპაცია კი 1895 წელს მოხდა, როცა იტალიამ ეთიოპია საკუთარ პროტექტორატად გამოაცხადა. დასახლების სხვა მოხუცებმა, რომელთაც ძალიან უყვართ ებას „ძალარა მოგონებების“ მოსმენა, მისი ნაამბობი გააანალიზეს, დაითვალეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დხაკა, სულ მცირე, 160 წლის მაინცაა. სწავლულები ამბობენ, რომ შესაძლოა, მოხუცი მართლაც 100 წელზე მეტისაა, ხანგრძლივი ცხოვრება კი გენების უნიკალური მუტაციის შედეგი უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს მისი უმცროსი ვაჟის მაგალითიც — ჰამიდი, მამასთან შედარებით, გაცილებით მოხუცია და არც ერთი კბილი აღარ აქვს, მამას კი ამ მხრივ პრობლემა არ გააჩნია, რაც გენეტიკურ დღეგრძელობაზე მიუთითებს, მაგრამ ეთიოპელი მოხუცი გინესის რეკორდების წიგნში მაინც ვერ შევა, რადგან ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნია.



# ჰოროსკოპი
## 23 სექტემბერი

***ვერძი*** — ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი იმპულსურობა კი ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობებიც, შეიძლება, ჩიხში შევიდეს, მაგრამ თუ მოთმინებას გამოიჩენთ, პრობლემებს ადვილად გაუმკლავდებით.

***კურო*** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ მცირე ნიუანსებსა და წვრილმანებს. შესაძლოა, კარგი ამბავი გახაროთ ნათესავმა, ეს ინფორმაცია კი თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

***ტყუპები*** — შეგიძლიათ, თამამად აიღოთ ვალი და თანხა კარგ საქმეში დააბანდოთ. გაბედულად გამოიჩინეთ ინიციატივა, გახადეთ ის კოლეგებისა და უფროსობისთვის საჯარო... საღამოს კი შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. ტყუილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ თქვენვე დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და ნუ გაჯიუტდებით.

***ლომი*** — სიბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინოთ. გულღია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ. ბავშვებს დიდი ხნით უყურადღებოდ ნუ დატოვებთ, რადგან არის ტრავმების საფრთხე. კარგი დღეა ფინანსისტებისთვის.

***ქალწული*** — შესაძლოა, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, რაც ტაქტსა და მოთმინებას საჭიროებს. სასიყვარულო პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან დღეს ასეთი შეხვედრა კარგს არაფერს მოგიტანთ. ვერც უსიამოვნო საუბარს გაექცევით.

***სასწორი*** — დიდია ალბათობა, რომ ის ვალი დაგიბრუნონ, რომელიც აღარც კი გახსოვდათ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუმცა მოვლენებს ნუ დააჩქარებთ, რადგან არაა სასურველი დღე კარდინალური ცვლილებებისთვის.

***ღრიანკალი*** — მოსალოდნელია ცვლილებები სამსახურში, შესაძლოა, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა. არაა გამორიცხული, მატერიალურმა პრობლემებმა იჩინოს თავი.

***მშვილდოსანი*** — მობილიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულოთ. ხანმოკლე სამსახურებრივი რომანი კოლეგებისა და უფროსობის გულისწყრომას გამოიწვევს.

***თხის რქა*** — სავარაუდოა, დღე კონფლიქტით დაიწყოს. თავის მართლება არ გიშველით, რადგან დამნაშავე თავად იქნებით, ამიტომ კარგად გააანალიზეთ თითოეული სიტყვა და მოქმედება.

***მერწყული*** — შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ სიტუაციით და საქმეში წარმატებით წინ წაიწიოთ. კარგი პერსპექტივებია პირად ცხოვრებაში, თუკი ინტელექტუალური საუბრები გიტაცებთ.

***თევზები*** — შეეცადეთ, ოცნებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. თანაც, ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს გარშემო, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს გიმტროთ.

# დიდი მკერდი ინტელექტზე მიანიშნებს?



ხალხში არსებობს მოსაზრება, რომ კაცებს არ უყვართ ჭკვიანი ქალები, მათ ფონზე უფერულად რომ არ გამოჩნდნენ, მაგრამ დიდმკერდიანი სუსტი სქესის წარმომადგენლის დანახვაზე მათი უმრავლესობა გულგრილი ვერ რჩება. არადა, აღმოჩნდა, რომ ასეთი ქალები თურმე უფრო ჭკვიანები ყოფილან. ამ კანონზომიერების დადგენას ამერიკელი სოციოლოგი ივონა როსდეილი შეეცადა და მკერდის ზომისა და ინტელექტის კოეფიციენტის შედარება 1200 საკუთარ თანამემამულეზე სცადა. კვლევის შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. რაც უნდა უსიამოვნო იყოს ჩემთვის, უნდა ვაღიარო, რომ დიდი მკერდის მქონე ქალების IQ საშუალოდ 5-10 პუნქტით მაღალი აღმოჩნდა, — განაცხადა როსდეილმა, რომელსაც თავად მხოლოდ პირველი ნომრის ბიუსტჰალტერი აცვია. ექსპერიმენტისას, იმ ქალებმაც კი, რომლებიც მკერდის ზომის მიხედვით „ოქროს შუალედში“ აღმოჩნდნენ, 3-5 პუნქტით მაღალი კოეფიციენტი აჩვენეს, ვიდრე პატარა მკერდის მქონე მანდილოსნებმა.

# „ჭკვიანი კბილი“ გაგაკონტროლებთ




ტაივანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა „ჭკვიანი კბილი“ გამოიგონეს, რომელიც ადამიანის მავნე ჩვევებს აკონტროლებს, მაგალითად — რამდენად ხშირად ეწევა სიგარეტს ან რომელი პროდუქტები უნდა გამორიცხოს კვების რაციონიდან... ახალ მოწყობილობაში ჩამონტაჟებულია სპეციალური გადამცემები, რომლებიც ინფორმაციას იღებს და მას მკურნალ ექიმს გადასცემს. მართალია, „ჭკვიანი კბილი“ ჯერ კიდევ ტესტირებას გადის, მაგრამ ის მოხალისეებზე უკვე გამოსცადეს და მოწყობილობამ 94%-იანი სიზუსტით დაადგინა ადამიანის მოქმედება. ხელოვნური კბილის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მათი გამოგონება უსაფრთხოა როგორც მომხმარებლის, ასევე გარშემომყოფებისთვისაც.

# საყვარელი ქალაქი



კომპანიამ Ipsos გამოკითხვა ჩაატარა იმის გასარკვევად, რომელია ყველასთვის საყვარელი ქალაქი. პლანეტის სხვადასხვა ქვეყნიდან 18 ათას ადამიანს საშუალება ჰქონდა, ქალაქები ბიზნესის წარმოების, ტურიზმისა და საცხოვრებელი პირობების მიხედვით შეეფასებინა. რეიტინგში პირველი ადგილი ნიუ-იორკმა დაიკავა და ლონდონსა და პარიზს აჯობა, მესამე ადგილზე გასული ციურიხი „ვარსკვლავ-სიურპრიზად“ შეაფასეს; მეოთხეზე აბუ-დაბია, რომელმაც ავსტრალიური სიდნეი ჩამოაქვეითა და მეხუთე პოზიცია მიუჩინა. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქს ჩამორჩა ასევე ჰონგკონგი, სინგაპური და ამსტერდამი. რაც შეეხება ტურისტულ პირობებს, ამ მხრივ აბუ-დაბი დიდი ხანია ჩამორჩა დუბაის — დღეში ლონდონიდან აბუ-დაბიში 4 რეისი დაფრინავს, დუბაიში კი — 14. ბრაზილიელებს საამიროების დედაქალაქი ურჩევნიათ რიო-დე-ჟანეიროს და ესპანელებიც საცხოვრებლად ამ ქალაქს ირჩევენ. ინდონეზიელებმა ხმა მეზობელ სინგაპურს მისცეს. იაპონელების განცხადებით კი, საცხოვრებლად მსოფლიოში ყველაზე კარგი ქალაქები ტოკიო და ოსაკაა.



# ჰოროსკოპი
## 24 სექტემბერი

***ვერძი*** — სახლში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. თუ დაქორწინებული არ ხართ, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ქორწინების დარეგისტრირება. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

***კურო*** — გაგიჭირდებათ თავი აარიდოთ ცდუნებას, სხვა ადამიანების ნეგატიურ გავლენასა და მავნე ჩვევებს. სჯობს, ზედმეტად არ იწუწუნოთ საკუთარ უბედობაზე.

***ტყუპები*** — შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რამაც შესაძლოა, გაუგებრობა და წყენა გამოიწვიოს. ნუ დანიშნავთ საქმიან მოლაპარაკებებს.

***კირჩხიბი*** — ადვილად შეძლებთ სხვებს დაუმალოთ პატარა შეცდომები, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული დანაკარგი ადრინდელი ფინანსური მოქმედებების გამო. ეს გამოვლინდება ფულად გადარიცხვებში, რაც ადრესატამდე არ მივა ან რომელიმე კომპანიონის უსინდისობაში.

***ლომი*** — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე მოვალეობა მთელ ყურადღებას წაიღებს. საღამოს გირჩევთ, მეტი დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

***ქალწული*** — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, ასევე ფინანსების მხრივაც. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

***სასწორი*** — ყურადღების ცენტრში მოექცევით. თუ ვინმესთან ნაჩხუბარი ხართ, სწორედ შესაფერისი დღეა შესარიგებლად. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები, შესაძლოა, რაიმე სახის დახმარება უცხოეთიდან მიიღოთ.

***ღრიანკალი*** — დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობები განაახლოთ.

***მშვილდოსანი*** — ფინანსური დანაკარგი გელით — ეს ყველაფერი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას ურთიერთობების გართულების ალბათობა დიდია, არის დაშორების რისკიც.

***თხის რქა*** — დღე საუკეთესოა მოგზაურობისა და საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. შესაფერისი დროა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გასარკვევადაც.

***მერწყული*** — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. აუცილებლად გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, ფინანსების მხრივაც საკმაოდ წარმატებული დღეა.

***თევზები*** — თევზებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ახლო ნათესავებთან ურთიერთობაში პრობლემებს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 4 | 3 |
| 1 | 3 | | | | | | 5 | |
| | 6 | 5 | | 4 | | 8 | | |
| | | | 4 | | 9 | | | 7 |
| | | | 8 | 3 | 2 | | | |
| 5 | | | 6 | | 1 | | | |
| | | 7 | | 1 | | 4 | 8 | |
| | 2 | | | | | | 6 | 5 |
| 8 | 9 | | | | | | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | 1 | 8 | 9 | | |
| 3 | | | | 5 | 4 | 8 | | |
| | | | | | | | 4 | 1 |
| | | | | 4 | | | | 7 |
| | 1 | 7 | | 9 | | 3 | 2 | |
| 8 | | | | 2 | | | | |
| 2 | 3 | | | | | | | |
| | | 6 | 3 | 7 | | | | 5 |
| | | 4 | 1 | 6 | | | 3 | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | | | 4 | |
| | | 7 | 6 | | 3 | | | |
| | 5 | | | | 4 | 3 | | 8 |
| | | 6 | | | | 1 | | 2 |
| | 4 | | | | | | 3 | |
| 8 | 5 | | | | | 6 | | |
| 7 | | 4 | 9 | | | | 2 | |
| | | | 5 | | 2 | 9 | | |
| | 9 | | | | | | | 3 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | 3 | | | 6 | |
| 7 | | | 9 | | | 4 | | |
| | | 2 | | 4 | 7 | | | 8 |
| | | | | | 8 | | 1 | |
| 4 | | | | 1 | | | | 6 |
| | 9 | | 5 | | | | | |
| 3 | | | 1 | 7 | | 5 | | |
| | | 9 | | | 6 | | | 1 |
| | 5 | | | 9 | | | | 4 |



# საუკეთესო საუზმე კვერცხია

სწავლულები გვირჩევენ, კარგად რომ დანაყრდეთ რამდენიმე საათით, დილით სჯობს, კვერცხისგან მომზადებული კერძი მიირთვათ. ლუიზიანის უნივერსიტეტის მკვლევარების აზრით, კვერცხი შიმშილის ბუნებრივი „ჩამხშობია“. თუ საუზმედ ომლეტს ან ერბოკვერცხს მიირთმევთ, სადილობამდე შიმშილი არ შეგაწუხებთ. ამ თეზისის დასამტკიცებლად სწავლულებმა ექსპერიმენტიც ჩაატარეს, რომელშიც 20 მოხალისე მონაწილეობდა. ერთი კვირის განმავლობაში ისინი ორ კვერცხს ან ერთ თეფშ ფაფას მიირთმევდნენ — ორივე კერძი ერთნაირი რაოდენობის კალორიებს შეიცავდა და ულუფის მოცულობაც ერთნაირი იყო. ექსპერიმენტისას გაირკვა, რომ ისინი, ვინც კვერცხით საუზმობდა, ნაკლებ სადილს მიირთმევდა, ხოლო სისხლის ანალიზით დადასტურდა, რომ ჰორმონ PYY-ის დონე, რომელიც დანაყრებაზეა პასუხისმგებელი, „კვერცხისმჭამელებში“ უფრო მაღალი იყო.



# მადონა თხოვდება




მედიაში კვლავ გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პოპ-ვარსკვლავი მადონა და მისი 25 წლის ბოიფრენდი დაინიშნენ. ამჯერად სანდო წყაროები ამბობენ, რომ ებრაული ახალი წლის აღნიშვნისას კაბალისტურ ცენტრში მადონამ ბრაჰიმი პირველად წარადგინა, როგორც საქმრო. იგი ძალიან ბედნიერი ჩანდა და ამის დამალვას არც ცდილობდა. სურდა, ყველას გაეგო, ამ ადამიანზე გათხოვებას რომ აპირებს, — აცხადებს „წყარო“. ბრაჰიმ ზაიბატი რეგულარულად ჩნდებოდა კაბალისტურ ცენტრში მადონასთან ერთად, მაგრამ აქამდე მხოლოდ „ბოიფრენდის“ სტატუსით სარგებლობდა. წყვილის ურთიერთობის სერიოზულობაზე, შესაძლოა, ისიც მეტყველებდეს, რომ ცოტა ხნის წინ ისინი ერთად მივიდნენ MET Gala 2013-ზე. ეს პირველი შემთხვევაა, როცა მადონამ შეყვარებული ასეთ საპასუხისმგებლო საჯარო ღონისძიებაზე წაიყვანა. თანაც, ბრაჰიმის კარიერაც ბოლო თვეებში ზემოთ მიიწევს — მოცეკვავემ და მოდელმა პოპულარულ ფრანგულ ტელეშოუსთან დადო კონტრაქტი და ასევე საკუთარი სამოდელო ხაზის გამოშვებისთვის ემზადება.

# შავი ჩაი ქალებს ვნებს?



ამერიკელმა სწავლულებმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან მასშტაბური გამოკვლევა ჩაატარეს სხვადასხვა პროდუქტისა და კვებითი ჩვევების გავლენაზე. სუსტი სქესის 76 ათასზე მეტი წარმომადგენელი გამოიკვლიეს 40-დან 65 წლის ასაკამდე. შედეგად კი, ასეთი დასკვნა გააკეთეს: ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ შავი ჩაი ერთ-ერთი სასარგებლო პროდუქტი და ძლიერი ანტიოქსიდანტია, თუმცა ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს — ჩაისა და რევმატულ ართრიტს შორის არსებობს კავშირი. ამ სასმელის ინტენსიური მოხმარება, უფრო ზუსტად კი, დღეში ოთხ ფინჯანზე მეტი მაგარი ჩაის დალევა არსებითად ზრდის რევმატული ართრიტის წარმოშობის რისკს, თუმცა ამის მიუხედავად, მკვლევარები არ გვირჩევენ, უარი ვთქვათ ჩაის მოხმარებაზე. მასში მართლაც, ბევრი ანტიოქსიდანტი და მატონიზირებელი ნივთიერებაა. შესაძლოა, კიდურებზე ჩაის ნეგატიურ გავლენას მისი ფერმენტები იწვევდეს, რაც სასმელს ფერს აძლევს.

# თბილისში ლიბერთი ბანკის განახლებული სერვის-ცენტრი გაიხსნა

**ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 20 სექტემბერს, ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, სანდრო რთველაძემ თბილისში, ფალიაშვილის ქ. №38-ში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვის-ცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს, როგორც ფიზიკურ, ასევე — იურიდიულ პირებს.**




ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის, სანდრო რთველაძის განცხადებით, განახლებულ სერვის-ცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა:

**„2012-2013 წლებში, ლიბერთი ბანკმა, საქართველოს მასშტაბით, 30-ზე მეტი ახალი ფილიალისა და სერვის-ცენტრის გახსნა და მოდერნიზებაც განახორციელა. საქართველოში, ლიბერთი ბანკი ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელითაა წარმოდგენილი, რომელთა საშუალებითაც 1 400 000 ფიზიკურ და 60 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება“.**

სანდრო რთველაძის თქმით, 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი მთლიანი აქტივების მიხედვით, 7.7%-ია.





გთხოვთ დარეკოთ




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საყდარი“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.